# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

| 1925 წ. | მარტის 29 | ფასი 25 კაპ. | № 7 |
|---|---|---|---|



**ნინო ჩხეიძე**

სასცენო მოღვაწეობის 30 წ. შესრულების გამო აპრილის 2 საოპერო თეატრში საგანგებო წარმოდგენა გაიმართება



**ჭოლა ლომთათიძე**

მისი ნაწერების გამოცემის გამო

# ჭოლა ლომთათიძე

(მისი ნაწერების გამოცემის გამო)

ვის ძალუძს იმის აღწერა, თუ ძველმა რეჟიმმა ამ დაუდეგარ, ფიზიკურად სუსტს, მაგრამ სულიერად რკინის ადამიანს, ადამიანური უფლების მოპოებისა და უსამართლობისათვის უაღრესად მებრძოლს, რამდენი ტანჯვა-წამება მიაყენეს, როგორ ძალად ამოგლიჯეს მეტად ლამაზი და ხალხისათვის საყვარელი სული.

ჭოლას ხომ ბავშვობიდანვე არ სწყალობდა ბედი, მისთვის ცხოვრება თავიდანვე გერი იყო. დედის ტკბილი ალერსიც არ ღირსებია. უკიდურეს სიღატაკეში ამოიზარდა, მაგრამ მე ხომ ამ პაწია წერილში მისი ბიოგრაფიის წერას არ შეუდგები. მე მინდა მხოლოდ ოდნავ გავუ'იარო მკითხველს ის ტანჯვა, რომელსაც იტანდა ჭოლა ნესტიან ციხის კედლებში დატყვევებული ჩიტივით ეხეთქებოდა რკინის ფანჯრე'ს. მისი სიყვარულით ალსავსე ზღვა-გული ვერ ეტეოდა ამ ვიწრო და ბნელ კედლებში და რადგანაც განთავისუფლების იმედი აღარ იყო, ნატრობდა მეტეხის ციხე'ს, აქაურ მზეს და აქაურ ჰაერს.

მისმა სუსტმა აგებულებამ რუსეთის სუსხი ვერ აიტანა და პირიდან სისხლის დენა აუვარდა. აკ. ჩხენკელის დახმარებით (რომელიც სათათბიროში დეპუტატათ იყო), როგორც იყო ავადმყოფი ჭოლა ბათომის ციხეში გადმოიყვანეს, აქედან კი მეტეხში.

არასოდეს არ დამავიწყდება მისი მეტეხში ჩემდამი შეხვედრა. სანახავად მივედი. გამოუძახეს პირად ნახვა'ე (შედარებით პატივისცემით ეპყრობოდენ როგორც ყოფილ დეპუტატს). დამინახა თუ არა, შორიდანვე გაშალა ორივე ხელი და სიხარულით აღტაცებულმა ისე ჩამიკრა გულში, როგორც უზომოდ მოსიყვარულე დიდი ხნის უნახავი მამა ჩაიკრავს საყვარელ შვილს. დიახ, ჭოლას გული უზომო სიყვარულით იყო სავსე. მას უყვარდა თავისი ამხანაგები, თავის მზიანი ქვეყანა, ერი და სამშობლო, მაგრამ ჯალათებმა იმისი ნებაც კი არ მისცეს, რომ აქ, თავის სამშობლოში, დაელია განაწამები სული და კვლავ რუსეთის ციხეში გაისტუმრეს მეტად ავადმყოფი ჭოლა.

მიუხედავად ასეთი სისუსტისა და რეჟიმისა, ის მაინც არ ისვენებდა და სწერდა თავის უკვდავ მხატვრულ მოთხრობებს. სწერდა და თან სამშვიდობოს ისტუმრებდა. ჩქარობდა სიკვდილამდე ამოეწურა თავისი ნიჭი, რადგანაც აშკარად ხედავდა სიკვდილი უახლოვდებოდა თავისი ულმობელი ცელით.

მიუხედავად სიფრთხილისა, მისი ნაწარმოების ნაწილი მაინც უვარდებოდა ჯალათებს ხელში და ცეცხლში იფერფლებოდა. ასე დაუწვეს, მაგალითად, ჰეინეს საუკეთესო ლექსები, რაც ხელმეორედ გადათარგმნა და გამოგზავნა, რომელიც გამოსცა ბართლომე კილაძემ და იმავე წელში გაიყიდა ყველა.

ჭოლა ციხიდანვე ხელმძღვანელობდა მისი მოთხრობების ერთად შეგროვებას და ნატრობდა მის ერთად გამოცემას, მაგრამ ამაოდ.

„მე აღარ მეღირსება აქედან ცოცხალი გამოვიდე: დღეს ბევრი სისხლი დავაქციე. ხელები მიკანკალებს, ძლივს ვსწერ, ცხადია სიკვდილი შორს აღარ არის, მაგრამ მე მისი აღარ მეშინია. გადაწერილი მოთხრობა მივიღე. არ მადლობელი ვარ, ჩემო სილია, რომ თხოვნა შეასრულე. ეხლა დამშვიდებული ვარ. თითქმის ყველა მოთხრობებს მოუყარე თავი. ვინ იცის იქნება, როდისმე ეღირსოს გამოცემა და კარგია ერთად რომ იქნება". მწერდა ის თავის უკანასკნელ წერილში ასტრახანიდან.

მერე ვისთვის სწერდა და ვისთვის აგროვებდა მომაკვდავი ჭოლა თავის უკვდავ მოთხრობებს თუ არა ჩვენთვის?

მისი სიკვდილის შემდეგ, რამდენი წელი გავიდა და ჩვენ, არ იქნა და არა, ვერ შევსძელით დღემდე მისი იშვიათი, მხატვრული ნაწარმოების გამოცემა.

მის ნაწერებს ბევრი არ იცნობს. ეს ნიჭიერი მწერალი ლამის სრულიად დავიწყებას მიეცეს, რაც არ გვეპატივება ქართველ ხალხს, რაც დიდი დანაშაულობაა. სხვა, შეგნებული ერი იამაყებდა ასეთი ნიჭიერი მწერლით.

ჭოლა სანთელივით დადნა ჩვენთვის, დაიფერფლა. ჩვენ კი, დაგვიანებით მაინც, სამაგიერო იმით გადაუხადოთ, რომ მისი ნაწერები გამოვცეთ და წავიკითხოთ!..

მართალია, მისი დასაფლავებისთანავე შეუდგა მაშინდელი მუშათა პრესა მისი ნაწერების გამოცემისათვის ფულის შეგროვებას. როგორც ვიცი, კიდეც შეგროვდა ოთხას მანეთამდე, მაგრამ, რამდენათაც მახსოვს, ის ფული გაზეთისათვის სტამბის შეძენას მოხმარდა. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ძნელი იყო ძველ რეჟიმის დროს მუშათა გაზეთების გამოცემა, როგორ აკრძალებული გამოდიოდა გაზეთები. მაგრამ დრომ და ვითარებამ ეს „დროებით" სამუდამოთ გადააქცია და სიცოცხლეში უიღბლო ჭოლას აქაც უმუხთლა ბედმა

თუ გინდა დარწმუნდე მისი ნაწერების სიძლიერეში, თითონ უნდა წაიკითხო. ის ხელით საგომანებელი მარგალიტებია, განსაკუთრებულ სტილით და მანერებით დაწერილი.

და ამ ნაწერების გამოცემა გადავსწყვიტე მისმა ბავშვობიდან მეგობარმა, რათაც უნდა დამიჯდეს, მაგრამ მე მარტო ამ სიძვირის დროს ვერაფერს ვერ გავხდები, თუ თქვენი თანაგრძნობა და დახმარება არ იქნება, ჩემო ძვირფასო მკითხველო.

დიახ, მე თქვენი იმედით მოვკიდე ამ დიდ საქმეს ხელი. სრული იმედი მაქვს ყველა ოდნავ შეგნებული ქართველი გამიწევს დახმარებას ამ ფრიად კულტურულ და სასარგებლო საქმეზე. მომაწვდის თითო მანეთს თვეში კოლექტიურად შეგროვილს, ან საქართველოს ყველა კუთხეში ადგილობრივად გადასცემენ განცხადებაში აღნიშნულ აგენტებს.

საჭიროა, რაც შეიძლება, საჩქაროდ შეგროვდეს ცნობები, თუ რამდენი ცალია საჭირო დაახლოვებით მაინც, რომ ამის თანახმად შევუდგეთ ბეჭდვას ორივე ტომი ჭოლას სურათით და ფაქსიმილეთი უნდა გამოვიდეს აუცილებლად ივნისის შუა რიცხვებში.

„ჩვენ, ჭოლას ნაწერებიდან ჰონორარს არ ავიღებთ. ჩემი და ჭოლიკოს სურვილი არის, რაც კი ერგება, მოხმარდეს კულტურულ საქმეს ჭოლას სოფელში ხიდისთავში. იქ გაიხსნას კარგი სამკითხველო ჭოლას სახელზე",—მწერენ მოსკოვიდან მისი ყოფილი ცოლი და შვილი ჭოლიკო.

ვიმეორებ ვისაც კი უყვარდა ჭოლა, პატივს სცემს მის ხსოვნას და აფასებს მის იშვიათ მხატვრულ ნაწერებს, მიუხედავათ ფულის კრიზისისა და სიღარიბის, დაუზარებლად გადასდებს თვეში ერთ მანეთს და საჩქაროდ მომაწოდებს კოლექტიურად შეკრებილს, რათა მეც დროიანად შევუდგე ამ დიდ საქმეს და პირნათლად შევასრულო ის.

სილ. თავართქილაძე.

# თეატრი და ცხოვრება

1910—1925 წელიწ. XV

№ 7 (363)

ფასი 25 კ.

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად: სარეპერტუარო პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 წიგნს.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34

„თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | მარტის 29—5 აპრ. | გამოცემა 1925 წ.


1925 წ. მარტის 22 შუადღის 12 ს. 30 წ. ჰაეროპლანით სოხუმისაკენ გაფრენის დროს დიდუბის მახლობლად ჰაეროპლან „იუნკერეზე“ გაჩენილ ცეცხლში დაიღუპნენ: ს. კ. ცაკის და ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმების წევრი, ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის და კავკასიის წითელდროშოვან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი, რ. კ. პ. ა|კ საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე თედორეს-ძე **მიასნიკოვი**, ა|კ ცაკის წევრი, კ.-ფ. ტ. სახ. კომისარის რწმუნებული ა|კ-ში, ა|კ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე **ათარბეგოვი**, ა|კ. სახ. კომისართა საბჭოს წევრი, ა|კ საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, ს. კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს რწმუნებული ა|კ-ში, რ. კ. პ. ა|კ საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. სოლომონ გრიგორის-ძე **მოგილევსკი** და მათთან ერთად მფრინავები ამხ. **შპილი** და **საღარაძე**. დაკრძალვა მოხდა ოთხშაბათს 25 მარტს დღის 14 საათზე კომუნარების ბაღში (გერმანელი შპილის ცხედარი გაასვენეს გერმანეთში)

# ჰამრმა ჩაჰქლაპა...

ორკესტრი გლოვით ქვითინებდა..

აზღვავებული ხალხი სასოწარკეთილებას აეტაცა...

შეირხა ფიქრები.. რა მოხდა?! ააჰ!?! ვეკითხები თავის თავს!..

— იყვნენ და აღარ არიან?! გაწყდენ მათი სიცოცხლის სიმები?! შეწყდა მათი გულის ცემა?! კვალინდებურად ველარ ვიხილავთ მათს სახეს?! ველარ დავტკბებით მათი რიხიანის ხმით?! ველარ შევიგრძნობთ მათს არსებობას, მათს დაუცხრომელ შრომას?!.. შრომას, რომელიც დასაბამიდან—სიკვდილამდე მშრომელთა კლასს ეკუთვნოდა!..

მწარე სინამდვილე სძაფრავს გრძნობებს..

ყველანი ხომ სიკვდილის შვილები ვართ!.. ყველანი ხომ მისი ხვედრი შევიქნებით!.. მაგრამ სიკვდილი ასეთს ტრაღიკულს პირობებში განსაკუთრებულ სიმწვავით ბგერავს...

ადამიანში ჩირაღდნობს ატოკვილი გრძნობა...

მაგრამ სიკვდილი, განსაკუთრებით სნეულ დროს, საბჭოთა აღმშენებლობის სიცხოველის დროს, რევოლიუციის გაწრთვნილ ექიმბაშების და ტეხნიკოსების, ეს ის მძიმე დანაკლისია, რომელსაც ვერ აზღავენ ათეული წლები..

აქ გვებლანდება სინამდვილის ლოღიკა...

პროლეტარულ ოჯახს გამოაკლდენ დაუფასებელი მებრძოლნი...

საბჭოთა სომხეთს, ამიერ-კავკასიას, მთელს საკავშირო საბჭოთა ქვეყანას, ჩამოსტყდა ქვაკუთხედი... დაიღუპა ალექსანდრე მიასნიკოვი—დინჯი, დარბაისელი, გონიერი, რკინისებურ ლოღიკისა და ფოლადისებურ ენერგიის მქონე, უმწიკვლო მუშაკი.

მასთან ერთად სიკვდილმა შთანთქა, მისი თანამებრძოლები, რესპუბლიკის ღირსეულნი ბურჯნი: გიორგი ათარბეგოვი და სოლომონ მოგილევსკი...

მათი უბედურობა წილად ხვდა ავიაციის ღირსეულ შვილებს: შპილსა და საღარაძეს.

ვით მათი ხვედრი, ასევე მათი სახელი და კუბოები ერთად შეუღლდნენ.

გულწრფელი ცრემლები დაედინება მათს სამარეს—გულწრფელი აღთქმა შეაერთებს მილიონ გულებს: მთელის შესაძლებლობით, მთელის არსებით და შეძლებით ემსახურონ იმ საქმეს, რომელსაც ასეთ ტრაღიკულ პირობებში, მსხვერპლად შეეწირენ დაუვიწყარი ამხანაგები..

**მირ. ხუხუნაიშვილი**

# ნინო ჩხეიძე—ქურუმთ ქურუმი

30 წ. შესრულდა, რაც ხელოვნების სამსხვერპლოს ემსახურება ნინო ჩხეიძე:

მაღალი განცდით, ზენაარ ცეცხლით, მშობლიურ სიტყვით, ნაირ ხატებათა უებრო განსახიერებით...

30 წ. შესრულდა, რაც მთელი მისი არსების ძაფები ხელოვნების ტრაპეზზე იწვოდა და მაყურებელ-მსმენელთ აღაგზნებდა, ათბობდა, აკეთილშობილებდა, მშვენიერებისა და სანატრიონ სამყაროსკენ მოუწოდებდა!..

ამიტომაც მადლიერი სამშობლო და ხელოვნების ყოველი შემგრძნობ-პატივისმცემელი კიდევ ერთხელ ეტყვის:

გმადლობთ უზენაეს მადლით ცხებულო, ახალო მოციქულო ნინო, ჭეშმარიტო ქურუმთ ქურუმო!..

# კულტურული მუშაობის პირობები პროვინციაში

უკანასკნელ 8-9 წ. განმავლობაში ცხოვრების მიერ შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობების ცვალებადობის მიხედვით ბევრჯერ მომხდარა, რომ საკულტურო მუშაობისთვის მომზადებულ ძალებს პირი ხან პროვინციისკენ უქნიათ, ხან ქალაქისკენ. დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ასეთი ძალები პროვინციას ჩამოშორებულ ჰყავს და ყველას ცენტრში ამოუყვია თავი. ამ მოვლენას ერთის მხრივ ხელს უწყობს შემდეგი გარემოებაც: საშუალო სწავლა-დამთავრებულ ახალგაზრდობას დღეს, ვიდრე როდისმე, მეტი გასაქანი და შესაძლებლობა აქვს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში დაამთავროს და, მაშასადამე, ტფილისს მიაშუროს. პროვინციას კი იგი ესტუმრება მხოლოდ ზაფხულში. ამ დროს ალვიძებს და ახმაურებს პატარა ქალაქებს და დაბა-სოფლებს **დროებით** სრულიად მცირე კულტურული საქმიანობით. მხოლოდ ზაფხულშივე საგასტროლო მუშაობა გადააქვთ პროვინციაში სხვადასხვა დრამ. დასებს, იწყება ექსკურსიები, სამეცნიერო ლექციები, არქეოლოგიურ-ისტორიული გამოკვლევანი და სხ. მაგრამ ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და დროებითი ხასიათის კულტურული მუშაობა პროვინციის მოთხოვნილებას დღეს ველარ დააკმაყოფილებს. მას სჭირია მუდმივი, ფართოდ გაცხოველებული და უფრო ნაყოფიერი მუშაობა.

მართალია პროვინციაში, ასე ვთქვათ, სამსახურის მოვალეობით დატვირთულნი ადგილობრივი ძალები რამდენიმედ უკვე ჩაბმულნი არიან ასეთ მუშაობაში და, შეძლებისადაგვარად, საქმეც კეთდება: შენდება სახალხო სახლები, ეწყობა სათეატრო დარბაზები, წიგნთსაცავ-სამკითხველოები, თავშესაფარებლები და სხვა: ერთი კუთხე მეორეს ეჯიბრება, ყველა დიდი სურვილითაა გატაცებული, ცდილობს მეტი თავგამოდება და უნარი გამოიჩინოს საქმიანობაში, კულტურულად უკეთესად მოაწყოს თავის მიდამო. ყველა ამისათვის არც იზოგება ხარჯი, სახელმწიფოც ხელს უწყობს, აქეზებს, მაგრამ საკმარისი არ არის მხოლოდ თავგამოდება, სურვილი და ხარჯების გაწევა. საჭიროა მეტის ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მუშაკები მუდმივად და საკმარისად ჰყავდეს პროვინციას. საქმე კეთდებოდეს მკვიდრად, საბოლოოდ და მიზანშეწონილად და არა ისე, როგორც ჰსურს და ესმის თვითეულს თავისებურად.

კულტურის სხვა დარგების გაჯანსაღებას რომ ჯერჯერობით თავი დავანებოთ, პროვინციის ყველა კუთხეს **თეატრი მაინც თავის ნამდვილის სახით აქ თავითვე უნდა მიეცეს.** თეატრი სრული მოწყობილობით, შესაფერი რეპერტუარით და გაწვრთნილ სცენის მოყვარეებით. ეს აუცილებლად საჭიროა დღეს, როდესაც გლეხს, რომელიც ეკლესიის სამაგიერო სანახაობის ძიებაშია, ყალბი წარმოდგენა არ ჰქონდეს თეატრზე, თავის სიმახინჯით არ მოაძულოს თავი, გამასხარავებული არ შეიქნეს და ჩვენი წარსული და აწმყო ცხოვრების სინამდვილე მას თვალწინ ნათლად გადაუშალოს. დეე—ცოტა იყოს ჯერ, მხოლოდ კარგი—ნამდვილ დანიშნულებას მიღწეული.

მართლაც და რატომ უნდა უთუოდ ყოველისფერი მდარე, დაბალის ხარისხისა მას შევთავაზოთ?! დღეს ის არის ბატონ-პატრონი სახელმწიფოსი მუშასთან ერთად, რომელიც ამ მხრივ უფრო უკეთეს პირობებშია დღეს შედარებით ქალაქში. შემცდარი იქნება ის აზრი, თუ ვინმე იფიქრებს, რომ მის გემოვნებას ჯერ არ შეეძლოს ავი კარგისაგან გაარჩიოს.

ახალი ცხოვრების კარნახით დღეს ჩვენი ყველა დარგის უმაღლესი სასწავლებლები თავის საუკეთესო ძალებით საკმარისად ამზადებენ ახალგაზრდობას, მაგრამ თუ კი უმაღლესი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილნი ყველანი ისევ ცენტრში მოიკალათებენ, უნდა ვირწმუნოთ, რომ პროვინციის ჭრილობებს დროზედ მალამო ვერ დაედება და მისი კულტურული დონე ვერ ამაღლდება. პროვინციას სწორედ დღეს სჭირია როგორც განვითარებრლი მეურნე და აგრონომი, აგრეთვე მეცნიერიც, პედაგოგიც, მსახიობიც, მუსიკოსიც და მხატვარიც. ყოველი ასეთი ფარვანასავით უნდა დასტრიალებდეს სოფელს, იქ ჰბერტყავდეს თავის ცოდნის სალაროს; სწორედ იქ არის თვითეულ მათგანისთვის დიდი ასპარეზი—სოფლის ლაღ ბუნების წიაღში და არა ცენტრის მტვრიან კაბინეტებში.

თუ დღეს ხელისუფლების მთელი ყურადღება იქითაა მიქცეული, რომ ცენტრსა და პროვინციას შორის მტკიცე კავშირი იქნეს გაბმული, მთლიანი ძარღვის ცემით დაუახლოვდნენ ურთიერთს,—ამ მხრივ კულტურულ მუშაობას, როგორც სახელმწიფოებრივ უაღრეს მნიშვნელობის ფაქტორს, მეტი ყურაღება სჭირია პროვინციაში.

ამიტომ საჭიროა პროვინციისათვის შეიქმნეს იმგვარი უპირატესობის პირობები, რომ კულტურულ მუშაობისთვის მომზადებული ძალები მას არ გაურბოდნენ და მუდმივ იქ ბინადრობდნენ.

**ა. ციხისთავი.**



**ალ. მირიანაშვილი**

დამსახურებული მასწავლებელი და ჩწერალი, 40 წ. მეტი ემსახურა სამასწავლებლო და სამწერლო საქმეს. ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია.

მიხეილ ჯავახიშვილი

# ჯაყოს ხიზნები

ნაწყვეტი.

[ნათავადარი, ნამოღვაწარი და ნაკაცარი თეიმურაზ ხევისთავი დაილია და გალატაკდა რევოლიუციის ცეცხლში. მას ერთი ნახიზნარი და ნამოჯამაგირევი ჰყავდა—ჯაყო ჯივაშვილი, რომელსაც რევოლიუციამ მიაკუთვნა ხევისთავის ციხე-დარბაზი და ბაღ-ვენახი. თეიმურაზი და მისი ცოლი მარგო ჯაყოს შეეხიზნენ. ჯაყომ და მარგომ ერთმანეთი შეიყვარეს ხორცეულ სიყვარულით. ბოლოს ჯაყომ თეიმურაზს მარგო წაართვა და თვითონ შეირთო].

ეკლესიას ერთის გვერდით ბუჩქნარი და ხნარცვი ჰქონდა აკრული. ჯვრის წერა რომ დაიწყო, იმ ბუჩქნარიდან თეიმურაზი ქურდივით გამოძვრა და ჩქარის ნაბიჯით ეკლესიაში შევიდა, თითქმის შევარდა. თავჩაღუნული ნაქმრევი ხალხში შეერია, გაძვრა-გამოძვრა, და სვეტის უკან ძლივს მოითქვა აღელვებული სული,

შორეულ სოფლიდან მოყვანილმა, გაცვეთილმა და გაცრეცილმა ღვდელმა დაბალის ხმით ჰკითხა ჯაყოს:

— გსურს თუ არა შეუღლება?

ჯაყომ ღვდლის შეკითხვა ვერ გაიგო.

— გინდა თუ არა მარგარიტაზე ჯვრის დაწერა?— განუმეორა ღვდელმა.

— გინდა, მაშა!—ისე წამოიძახა ჯაყომ, რომ მისი ხმა ეზოშიც კი გაიგეს.

ეკლესიაში ჩუმი სიცილი ასტყდა.

— გსურს თუ არა შეუღლება?— მიუბრუნდა ღვდელი მარგოს.

მარგოს პასუხი, ნიავივით ჩუმი, ღვდელმაც ძლივს გაიგო.

— იქორწინების მონა ღვთისა ჯაყო.— სამჯერ სთქვა ღვდელმა და სამჯერვე განიმეორა:—იქორწინების მხევალი ღვთისა მარგარიტა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა, ამინ.

მხოლოდ ეხლა აიხედა მაღლა თეიმურაზმა. აიხედა და მეფე-დედოფალს შეჰხედა. შეჰხედა და თვალი აუჭრელდა, გული აუჩქროლდა და აუტოკდა.

მარგო და ჯაყო ძლივს იცნო თეიმურაზმა. ჯაყო სუფთად იყო გაკრეჭილი და გაპარსული. მოკლედ გაკრეჭილი შავი თმა ზღარბივით ჰქონდა აყრილი. გოლიათის ტანზე ეცვა მუქი ლილის ფერი ძველებური კაბა, ვერცხლით ნაქარგი აბრეშუმის ახალუხი, განიერი, ხავერდის შალვარი და ახალი ლაკირონის ჩექმები. ნიდაყვამდის გაჭრილი ცისფერი ყურთმაჯები მხრებზედ ჰქონდა გადაგდებული. წელზე ერტყა ოქროს ძაფით ნაჭედი ქამარი და ხმალ-ხანჯალი, რომელიც ჯაყოს ახოვან ტანზე ზედგამოჭრილი იყო.

მარგო სწორედ ისე იყო გამოწყობილი და მორთული, როგორც თხუთმეტი წლის წინად, როცა ის, ჯაყოს მაგივრად, თეიმურაზის გვერდით იდგა: ტანთ ეცვა თეთრი ატლასის ქართული კაბა; განიერ მკერდს უმშვენებდა ოქროს ზონრით გადახლართული და მარგალიტებით შეკრული პირისფერი გულისპირი; განიერი, იასამნის ფერი სარტყელი, თავით ბოლომდის ოქროთი და აბრეშუმით ნაქარგი, კოჭებამდის სწვდებოდა. შუბლზე გვირგვინის მაგვარი იალქანი ერტყა, მარგალიტებით და ალმასებით მოჭედილი, ხოლო თავზე და მხრებზე თხელი, თეთრი მანდილი ედო, ისიც ოქროს ფოთლებით მოქარგული. თავსაკრავის შუაგულს ალმართული ჰქონდა საუცხოვო ჯიღა,— ძვირფასი თვლების თაიგული. ამ თაიგულს დასცქეროდა მსხალის მსგავსი და ნეკის ოდენა მარგალიტი, რომელიც ნისლოვან ვარსკვლავივით უცნაურის და იდუმალის შუქით ციმციმებდა.

თეიმურაზმა იცნო ჯაყოს კაბაც, მარგოს სარტყელიც, ჩიხტიც, მანდილიც და ჯიღაც: ორივე ტანისამოსიც, იარაღიც და ჯიღაც ხევისთავების საგვარეულო განძი იყო, მამით-შვილამდე გადმონავალი, ძვირფასი ნახელოვნევი და ნატიფი ნამუშავარი, რომელსაც ნაშინდარის ბატონები და ქალბატონები თავიანთ საგანძურიდან—რკინით შეჭედილ მუხის სკივრიდან—მხოლოდ საზეიმოდ ამოიღებდნენ ხოლმე.

ეს საგანძურიც და მრავალი საგვარეულო ოქრო და ვერცხლეულობა იმ სკივრში ინახებოდა, რომელიც ერთ დროს ვითომ „ყაჩაღებმა მოიტაცეს“.

— და გამრავლდით ვითარცა აბრამ და ისაკ, სარა და რებეკკა, და შვილი თქვენი ვითარცა ახალი ხილი ზეთისხილისანი.— ჩურჩულებდა ღვდელი, სანამ გაშტერებული თეიმურაზი ჯაყოს და მარგოს ათვალიერებდა.

მაშ აი, როდის აღმოჩნდა იმ განძეულობის ნაწილი; აი, ვინ ყოფილა ნამდვილი ყაჩაღი! აი, ვინ მოსტაცა თეიმურაზს და ქართულ კულტურას დაუფასებელი განძი! ესმას თეიმურაზს, ეხლა ესმის ყველაფერი! ესმის თეიმურაზს, მაგრამ ამის გამო გულის ტკივილს არა ჰგრძნობს: იმის თვალწინ მარგო სდგას, მარგო!

და თეიმურაზს უმალ დაავიწყდა ძველი ამბავიც და დაკარგული განძეულობაც. იმისთვის ეხლა სულ ერთი იყო, რა დაიკარგა ოდესღაც, ან ვინ მოიტაცა დანაკარგი, ჯაყომ თუ ქეშელამ, ტურამ თუ გიბამ.

ეხლა მისი თვალიც, სმენაც და აზრიც მარგომ მიიზიდა, მიიჯაჭვა და ჩაიწურა.

ხელისხელ-ჩაკიდული მეფე-დედოფალი ლიტანიას უვლიდნენ. თავთ ქართული გვირგვინეში ედგათ. გვირგვინების ოქრო-ვერცხლის ტოტები დ ფოჩები ოდნავ ირხეოდნენ და ბრწყინავდნენ.

ღვდელი და დიაკვანი გალობდნენ:

— ისაია-ა მხიარუუული-ი-ი...

ხარბად შესცქეროდა თეიმურაზი თავის ნაცოლარს და ძალაუნებუროდ ადარებდა იმდროინდელ მარგოს, როცა ახალგაზრდა ქალი, თხუთმეტი წლის წინად, ფერმკრთალი და აგზნებული, წელ-წვრილი და ხმელ-ხმელი, პირველად შესდგა გვირგვინის ქვეშ; როცა მორცხვად ილიმებოდა, ჩუმის ღელვით სთრთოდა და თვალებს იატაკს არ აშორებდა. ეხლანდელი მარგო უკვე დედაკაცი იყო, ნამდვილი დედაკაცი: დასრულებული და დამწიფებული, ფერწითური დ ატლასოვანი, ღონიერი და ჩაფუთქნული, ამაყი და თავმომწონე.

მარგომ ხალხს ქურდულად გადაავლო თვალი და ერთის წამით თვალი თვალში გაუყარა თეიმურაზს, რომელიც ისე შეჰყურებდა მას, როგორც დაჭრილი შველი შესცქერის მოღერებულ ხანჯალს: შიშით, უიმედოდ და სასოწარკვეთილ მუდარით.

მარგო ჯერ ოდნავ შეჰკრთა, მერე შუბლი შეიკრა, წარბები აიკრიფა და ტუჩებზე თითქოს ტანჯვა და ზიზღი აისახა. და იმავე წამს თვალები ისევ დაიბურა, თავი დაჰლუნა და თეიმურაზს საჩქაროდ კვლავ ზურგი შეაქცია.

მესამედ რომ უვლიდნენ ლიტანის, მარგომ თვალი იატაკს აღარ მოსწყვიტა, ხოლო ტუჩებზე კვლავ იგივე გაუგებარი გრძნობა ჰქონდა აღბეჭდილი, რომელიც თეიმურაზმა ვერ გახსნა და ვერ გაიგო, რადგან ერთსა და იმავე დროს იგი გრძნობა ტანჯვასაც ჰგავდა და ზიზღსაც, სირცხვილსაც და მძულვარებასაც, სინანულსაც და სიბრალულსაც.

თეიმურაზმა ვერ გაარჩია, ვერ წაიკითხა მარგოს პირისახეზე მისი ნამდვილი აზრი და გულისთქმა, მაგრამ მას ის დანაწერი უფრო ზიზღად მოეჩვენა, ვიდრე სინანულად ან სიბრალულად. და თეიმურაზს ძალაუნებურად გაახსენდა მარგოს იმდროინდელი იერი, როცა მარგო ნახუცარ ივანეს სახლში თეიმურაზის სანახავად მოვიდა და უცებ უცნაურად გარდიქმნა და გადადუღდა.

„რა მაქვს საზიზღო? რად ამიძულა მარგომ“?— ერთხელ კიდევ ჰკითხა თეიმურაზმა თავის თავს.

„იმიტომ შეგიძულა და შეგიზიზღა,— მიუგო მაშინვე მისმა უჩინარმა ორეულმა,— რომ წარმავალი ხარ, საბრალო, სუსტი და მომაკვდავი; იმიტომ შეგიზიზღა, რომ ბრძოლა წააგე; იმიტომ, რომ უბრძოლველად დაუთმე შენი ცოლი და პატიოსნება აგერ იმ პირუტყვს, ახმახს, ველურ ჯაყოს, რომელსაც შენზე უფრო ღონიანი აქვს მკლავებიც და ყბებიც, წვივებიც და ხმაც, გულიც და სულიც“.

„ვით⸱მ?... ვითომ მაგიტომ?“— ჰკითხა თეიმურაზმა.

„დიაღ, მაგიტომ, მხოლოდ მაგიტომ. ეს კიდევ არაფერი. შენც მარგოს მზითვად მიჰყვები და ჯაყოს ყმად უდგები მხოლოდ იმისთვის, რომ ათასში ერთხელ შენს მარგოს გოშია-ძაღლივით შეჰხედო. ვის? მარგოს! შენს მარგოს, რომელმაც“...

— ოოოჰ, დიდებულო ღმერთო!

და თეიმურაზმა ისე მძლავრად ამოიოხრა, რომ გვერდით მდგომმა გლეხებმა გაოცებით გადმოჰხედეს. გადმოჰხედეს და თვითონაც ამოიოხრეს, თან გაკვირვებით და თანაგრძნობით თავები გააქან-გამოაქნიეს.

„ცოტაოდენი პატივი მაინც დასდე შენს თავს, სახელსა და წარსულს.— ბრაზით ჰკორტნიდა თეიმურაზის გულს მისი ორეული.— ნუ იბრმავებ თვალებს, თავს ნუ იტყუებ, ნურც მარგოს ამართლებ. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ცოლმა გიღალატა.

— ო-ო-ო-ჰ!— -რთხელ კიდევ ამოიკვნესა თეიმურაზმა და მისი კვნესა მთელს ეკლესიას მოედო.

აქეთ-იქიდან ნაქმრევ თეიმურაზს ისევ სიბრალულით გადმოჰხედეს.

— საწყალი!— წაიჩურჩულა თეიმურაზის გვერდით ერთმა დედაკაცმა და იმანაც ამოიოხრა.

ორეული არ სცხრებოდა:

„ღალატს თავი დავანებოთ: მარგოს ეზიზღები“.

— ვაი მე!— ხმა მაღლა დაიკვნესა თეიმურაზმა და ორივე ხელი გულზე მიიკრა, რომელიც ამოვარდნას ჰლამობდა, |

ეკლესიაში ჩურჩული ასტყდა, თეიმურაზს ხალხი შემოეხვია, მაგრამ ის ყურს არავის უგდებდა და ვერც ვინმეს ჰხედავდა.

„ეზიზღები, რადგან ქალაჩუნა ხარ“.

— მართალია!— ხმა მაღლა დაეთანხმა თეიმურაზი.

„არ მესმის, რა დაგემართა?— განაგრძობს ორეული.— შენი წინაპარნი რკინას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ჰხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ. წინ დაიხედე. ისე სდგეხარ შენი მამის საფლავზე, როგორც წიწილა დევის მკერდზე.

— წიწილა! ხა-ხა!— გესლით იცინის თეიმურაზი.

— საბრალო... საწყალი...— ისმის აქეთ-იქიდან ჩურჩული.

„მამა შენი და შენი წინაპარნიც სულითაც და ხორცითაც ფოლადისგან იყვნენ ჩამოსხმული; შენ კი გაქალდი და გაფუვდი. წყალსაც ძლივს ჰყლაპავ და ბუმბულიც მძიმე ლოდად მიგაჩნია. არც კბილები გაქვს საგლეჯად, არც მკლავი მოსაქნევად და არც ხმა შესატევად. საგულეს გულის მაგივრად დამპალი ძონძი ჩაგიგდია, საგულეს სულის ნაცვლად სიმყრალე დაგიგუბებია, ხოლო ძარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ჭაობის დუბელა ჩაგისხავს. ისე დაკნინდი და დაილიე, რომ ვაჟკაცობისა აღარაფერი გაცხია“.

— ეგეც მართალია!— ხმა მაღლა დაუდასტურა თეიმურაზმა.

„მაშ ახი ყოფილა შენზე, რომ ასე გაგსრისეს და გაგათრიეს“.

— ახია, ახი!— ისევ ხმამაღლა დაეთანხმა თეიმურაზი.

„მაშ დაანებე თავი შენს მარგოს და დაიწყე ახალი ცხოვრება“.

— ღმერთო, მიშველე!

— თეიმურაზ!— ჩასჩურჩულებს ყურში ივანე აბოდებულ ნაკაცარს, მაგრამ თეიმურაზს ივანესთვის აღარ სცალიან.

„დაიწყე ბრძოლა, გაიკაფე საკუთარი გზა და დასდექი საკუთარ ფეხზე“

— ეგრე... ეგრე... მართალია, მართალი!

— რათა ცოლსა ამას ეშინოდეს ქმრისა...— არიგებს ღვდელი მარგოს.

„მაგრამ თავდაპირველად დღესვე უნდა წახვიდე აქედან და სამუდამოდ დაივიწყო მარგო“.

— ვაი მე, დედა!

— თეიმურაზ, რა დაგემართა?— ეკითხება ივანე.

„ეხლავე გადი ეკლესიიდან!“— უბრძანებს თეიმურაზს ორეული.

— ცოტას კიდევ მოვიცდი...მერე, მერე გავალ.— ეუბნება ორეულს ნაკაცარი.

ნახუცარი ივანე და რამდენიმე გლეხი ჩურჩულით ელაპარაკებიან თეიმურაზს და ეკლესიიდან გასვლას ურჩევენ. ღვდელმა წირვა შესწყვიტა და მოთმინებით მოელის სიჩუმეს. ჯაყო მოტრიალდა და ხარის თვალებს აბრიალებს. მარგოს ღრმად დაუხრია თავი და თვალებზე ხელსახოცი აუფარებია.

თეიმურაზი მაინც არავის ჰხედავს, არც ვისიმე ლაპარაკი ესმის. ცალის ხელით სათვალეებს ისწორებს, მეორე ხელს ცხვირის წინ იქნევს და ცხარედ ებრძვის თავისს ქინიან ორეულს.

ივანემ ყურში ჩასძახა:

— ძმაო თეიმურაზ! ვერ მიცანი? ვერა მცნობ?

—. როგორ არა, როგორ არა? თეიმურაზმა იცნო ნახუცარი ივანე! ივანეს როგორ არ იცნობს თეიმურაზი!

— რაიო! აქედან წწ...წავიდეთო?.. რად უნდა წავიდეთ? მე ეკ... კკლესიაში ვარ. ვ...ვვლოცულობ... რა სთქვი? წ...წწირვა გათავდა? კეთილი... მაშ წავიდეთ!

და უცებ ძლიერის ხმით შესძახა:

— კმარა! კმარა მეთქი!

რა სთქვა ივანემ? ნუ ჰყვირის თეიმურაზი? განა თეიმურაზი ჰყვირის? საკვირველია! საოცარია! თეიმურაზს არ გაუგია თვისი ყვირილი. კარგი, კარგი... თეიმურაზი გაჩუმდება... მოდის თეიმურაზი, ეხლავ მოდის.

და ერთხელ კიდევ შემოსძახა:

— კმარა, კმარა მეთქი!

ისევ უკვირს თეიმურაზს. თვისი ყვირილი ყრუდ მოესმა, მაგრამ განა ის ხმა თეიმურაზისა იყო? მაშ ის ყვირილი მართლა თეიმურაზისა იყო? მართლა თეიმურაზმა დაიყვირა? საკვირველია! საოცარია! არა, თეიმურაზს ხმაც არ ამოუღია... სტყუის ივანე! პეტრეც სტყუის! ყველანი სტყუიან! რად ჩააცივდნენ თეიმურაზს? რა უნდათ იმისგან?.. კარგი, კარგი... მოდის თეიმურაზი, მოდის. მოდის...

— ხა-ხა! საკუთარ პანაშვიდს დავესწარი! ჩემივე თავის დასაფლავება ვნახე! ხა-ხა-ხა! – ჩაიხითხითა თეიმურაზმა.

დაანებე თავი თეიმურაზს, ივანე! რად ჩააცივდი მაგ აძმიანს? თეიმურაზს ხმაც არ ამოუღია. თეიმურაზმაც იცის, რომ ამ ეკლესიაში პანაშვიდი კი არ არის, არამედ ჯვრის წერაა, ქორწილია... ისიც იცის თეიმურაზმა, რომ ჯაყო ჯივაშვილი ჯვარს იწერს მარგო ხევისთავზე... მარგარიტა ყაფლანიშვილის ასულზე. იცის, იცის! მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ქორწილი თეიმურაზის პანაშვიდია... დიაღ! პანაშვიდია, პანაშვიდი! მაგრამ თეიმურაზი ჯერ არ მომკვდარა! არც მოკვდება ასე ადვილად!... დიაღ, არ მოკვდება მეთქი! თუმცა... რაო? იქ ვინა სთქვა თეიმურაზზე „საწყალიო“?! აქეთ კიდევ ვინ წამოიძახა, „უბედურიო“?!

— ივანე, დამანებე თავი, მე თვითონ წამოვალ!.. არც საწყალი ვარ და არც უბედური. თუმცა მე.. მე... სნეული ვარ... მართლა უბედური და საწყალი ვარ.. ვიყავი, დღემდის ვიყავი... დღეს კი... ეხლა კი... ვაიმე, დედავ!

თვალები გაუთეთრდა და გადმოუბრუნდა; ტუჩები აუტოკდა და აუცახცახდა; პირსახეზე ზაფრანამ გადაჰკრა; თავი გვერდით გადმოიგდო, თითქოს კისრის ძარღვები დაუწყდაო: ხელები გაასავსავა, მუხლები მოეკეცა და ეკლესიის კარებში ცალიერ ტომარასავით ჩაიჩოქა და გაიშალა.

და ეკლესიიდანაც იმავე წამს ერთმანეთში უცნაურად არეულმა დედაკაცის კივილმა, ქვითინმა და კისკისმა გამოჰხეთქა.

# მშვენიერი საქართველო

## ქართლი

საყვარელო ქართლო! შენ სასტიკი ხარ და ნაზი, ცივი და მხურვალე, ნათელი და მწუხარე, უხვი და ღარიბი.—მდიდარი ხარ ნაყოფიერ ველებით და მთებით, ტყეებით, მდინარეებით და ბაღებით! შენ მრავალფეროვანი დიადი ბაღი ხარ, რომლის მომხიბლავი სურათებით საუკუნეებით ტკბება ადამიანი. ყოველ გორაკში, ყოველ ალაგას დამალულია ახალ-ახალი სურათი შენ მშვენიერებათა უხილავ წიგნიდან. მაგრამ შენ გამკობს არა მარტო სილამაზე მთების და ველების, არამედ შორეულ ყინვათა ჯადოქრული სანახაობა!! მაღალ კავკასიონის ქედის გიგანტური პირამიდები თავის სიდიადით ალპებს აღემატებიან და ევროპის ყველა მთებს. და, აი აქ, ამ თითქოს მკვდარ სამყაროს გულში აღიმართება ამაყი ყაზბეგი, სადაც ილია ჭავჭავაძის პოეტურმა თვალმა უპოვნა ბინა თავის განდეგილს.

საყვარელო ქართლო! შენს წიაღში იშვა საქართველო და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შენ აძლევდი სიცოცხლეს მთელ ივერიას. შენ იყავ მისი სული და გული, მისი სიმაგრე აღმოსავლეთის გაათრებულ მტერთა წინააღმდეგ. ლამაზო ქართლო! ნაზია შენი გაზაფხული; როდესაც იასამნის სურნელი დაიღვრება ბაღებში, როდესაც სიმწვანით იმოსება ტყეები და რაკრაკით მორბის მთის წყაროთა ვერცხლისფერი ჩქერები.

მშვიდათ და ნაზად მოდის შენი გაზაფხული, ნელნელა ილვიძებს მისი სილამაზე, მაგრამ როდესაც აივსება სიცოცხლით მისი ახალგაზრდობა და ხმა-მაღლა გაისმის ბულბულის სტვენა, გუგულის მწუხარე ძახილი, მაშინ მთები და ველები სამოთხეს ემსგავსება!—აგერ მოშხუის ამღვრეული მტკვარი და ვერცხლისფერი არაგვი, რომელთ ნაპირებზე ბევრჯელ გადაწყვეტილა საქართველოს ბედი. მტკვარო და არაგვო! რა მწუხარე ჰანგებს გიმღეროდათ ილია და ბარათაშვილი, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეში საქართველოს ტრფიალით იყვნენ ავად. მტკვარი და არაგვი, შენი წარსულის უკვდავი მოწმენი! ეს ორი მდინარე ქართლის ხსენებისთანავე მოაგონდება ადამიანს. ისინი შეერთებულნი მორბიან ძველ ტფილისისკენ, საქართველოს გულისკენ საყვარელო ქართლო! ხშირად გინახავს სიმწუხარე, მაგრამ არასოდეს ხანგრძლივათ არ გადარდიანებულა შენი მზე. ხშირად, ძალიან ხშირად ისმოდა სიხარულის და ზეიმის ჰანგები ტფილისში და აი აქ ჩააგდო მაღალ გონიერმა დავითმა სახელმწიფოს საძირკველი და თამარმა ნაზი სიტყვით და კეთილი გულით შეაერთა ქართველნი.

## კ ა ხ ე თ ი

ნათელო კახეთო! ტყიანი მთების გვირგვინი შემოვლებია შენს მწვანე ველ-მინდორს! მზე და მთვარე შენი მეგობრებია, მათი სინათლე და სიბრწყინვალე მომხიბლავად ამკობენ სურათს.—ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უცქიროს, როდესაც ოქროს სხივი ეხვევა მთელ ველს და ალაზანი ბრწყინავს, როგორც ვერცხლისფერი ზონარი!

ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეში თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს. კეკლუცო კახეთო! ოქროს ღვინის, სიხარულის და სიამის ქვეყანავ! შენს სამოთხეში იშვა ორი პოეტი;

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ეს მეთვრამეტე საუკუნის დაგვიანებული პოეტი, რომელიც უმღერდა ქალებს, ღვინოს და სიყვარულს,—ის იყო ნამდვილი სიცოცხლით სავსე კახელი, ის კახელი იყო; ხოლო ილია ჭავჭავაძე ქართველი, რომელიც მთელ საქართველოზე ფიქრობდა. ილია აღტაცებული იყო კახეთის ბუნების სამოთხისებურ სილამაზით, მაგრამ არ უყვარდა კახელთა უზრუნველობა.

ძვირფასო კახეთო! შენ უშრეტი სალარო ხარ პოეზიის, სინათლის და სილამაზის. შენ ნაზ ქალთა სამშობლო ხარ და მოვა დრო, როდესაც შენ საუნჯეთა სალაროდან გაიშლება მაღალ პოეზიის და ხელოვნების ყვავილნი. კახეთო! სეტყვა აზიანებს შენს ვენახებს, გვალვისგან შრება შენი მდინარენი, მაგრამ არასოდეს არ დაშრება შენი სილამაზის უკვდავი წყარო.

## იმერეთი

მომჯადოებელო იმერეთო! ნაზი სამხრეთის საყვარელო, სადაც ჯერ ისევ ზამთარში ილვიძებს გაზაფხული და რომლის სილამაზეთა სიმდიდრეში იკარგება თვალი. იმერეთო! ვისაც არ უნახავს შენი გაზაფხული, მას არ უნახავს სამოთხე.

რა სიამეა და ბედნიერება შენი აყვავებულ მინდვრების, მწვანე ბაღების და ტყეების ხილვა.

მდიდარი ხარ ძვირფასი მარგალიტებით, მაგრამ ყველაზე უმშვენიერესი ქუთაისია. ის გარშემორტყმულია, როგორც სიზმარი მწვანე ბაღებით, სადაც სცხოვრებენ სამხრეთის ნაზი ყვავილები და ხეები. მის სიმწვანეში ჩუმათ სდგანან ძველი ნანგრევები და რიონი მოშხუის ტყიანი ხეობით.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ქუთაისი, მის ხსოვნაში ზმანებათ რჩება ამ ქალაქის ნაზი გაზაფხულის და ლამაზ ქალების სურათი. მწვანე იმერეთო! საუკუნეებით ჟღეროდა შენი დიდების ჩონგური, მაგრამ მხოლოდ აკაკიმ ათქმევინა მას დიდი ქებათა-ქება, და იქამდის, ვიდრე შენი ლამაზი ასულნი ჰხიბლავენ შენს ვაჟებს და ვიდრე რიონი მოშხუის მწვანე ხეობით და მისი დაუდეგარი ცალლები ილტვიან შავი ზღვისკენ, ცოცხალი იქნება აკაკის სიმღერა.

**არტურ ლაისტი.**

# ნაცადის გზით

## წერილი მეგობრებისადმი

**(წერილი გერმანიდან.)**

„ნიკო გოცირიძის სახელობის სახ. სახლში (ყ. ავჭ-აუდ) შესდგა სახალხო სახლის ქართ. დრამის მსახიობ. კოლექტივი. (გამგეობაში დ. ბაქრაძე, სოფ. რომანიშვილი-დგებუაძისა, კოტე ხახანაშვილი).

ფასი 10—30 კაპ. ბილეთები დაურიგდება მუშებს ქარხნებში. პირველი წარმოდგენა „მეზობლები“. ადგილი 300-დე. „თეატრი და ცხოვრება“ № 16, 1924 წ.“

ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანმა განცხადებამ მრავალი ფიქრი წარმოშალა ჩემს არსებობაში, მთელი გალერეია საყვარელ და ახლობელ ადამიანთა და მოგონებათა ზღვა... ძველია ეს ამბავი, მაგრამ თითქმის 18 წელი (მას შემდეგ რაც მე ფეხი შევსდგი ავჭალის აუდიტორიის სცენაზე) სულ პატარა ინტერვალი იყოს—ისე ცოცხალია ჩემს მეხსიერებაში ყველაფერი მაშინდელი. და როცა ამ განცხადებაში ნაცნობ გვარებს ვკითხულობ: ნ. გოცირიძე, ს. დგებუაძისა, კ. ხახანაშვილი, დ. ბაქრაძე, სოსო რომანიშვილი, ანაშვილი, ა. ბადრიძე და სხ. ჩემი არსება სასოებით ივსება და მინდა ყველა ამათ შორიდან მივესალმო, გავამხნევო... დღეს მეც მათთანა ვარ, ვინც მოწამე იყვნენ ჩემის ახალგაზრდულის გატაცებისა ამ პატარა სცენისადმი. დიდია ამ პირთა ღვაწლი—მძიმე, მაგრამ ლამაზია მათ მიერ განვლილი გზა და დღეს, როცა ეს გზა ბოლომდეა მიყვანილი, როცა ქართულმა თეატრმა უკვე მტკიცე და ფართე ნიადაგზე იწყო მოქმედება, თითქოს მოეწყინათ ამ ძველ მსახიობთ და მათ აღეძრათ წყურვილი—ერთხელ კიდევ თავიდან დაიწყონ...

რა ამოძრავებს მათ, რად იწყება ხელახლა ძველებური თავგანწირვა, უანგარო შრომა? ამის საიდუმლოებას მე თქვენს წარსულ მოღვაწეობაში ვკითხულობ მეგობრებო. ეს ის ძალაა—უხილავი და ძლიერი, რაც მაშინ მძიმე პირობებში თავდავიწყებით აძლევის ხალისით გვამუშავებდა. ეს იყო ჩვენი აუდიტორია, ჩვენი მუშები (იქ ხომ მარტო ესენი მიდიოდენ), რომელნიც გამურულის—შავის ბლუზებით, ხშირად პირდაპირ ქარხნებიდან ჩვენთან მოეშურებოდენ.

ჩვენ მათ ვუყვარდით წრფელის და სადა სიყვარულით. მათ ესმოდათ ჩვენი კვნესა, ახალ ცხოვრების გზების ძიება. და მძიმე შრომისაგან ძალა-გამოლეულნი, ისინი ამ პაწია სცენიდან მოელოდენ პასუხს მრავალ „წყეულ“ კითხვებზე—ცხოვრების აზრზე და თითქოს იკრეფდენ ახალ ძალებს, ახალ ბრძოლათა დასაწყებათ. ჩვენს შორის შუამავალი არ ყოფილა, ჩვენ პირდაპირ ველაპარაკებოდით ერთმანეთს: ისინი ჩაფიქრებულის, ჰკვიანის თვალებით და ჩვენ საკუთარის თამაშით და სიტყვებით. ჩვენ ერთნი ვიყავით: და სცენა და ხალხი უხილავის ძაფებით ებრძოდენ ერთმანეთს. ამან შეგვაყვარა ჩვენი პატარა, პრიმიტიული სცენა და ათას დაბრკოლებას ჩვენ ხალისით ვარღვევდით.

სად იყო იმ დროს სცენა, ბუტაფორია დღევანდელის ტეხნიკის მიხედვით! ჩვენ არაფერი არ გვქონდა, მაგრამ ჩვენი ვიწროდ გადაჯაჭვული ამხანაგობა ყოველ ნაკლს თვისის სიყვარულით ავსებდა. თვითონ სცენის უფროსნი მოყვარენი ეწეოდენ ყოველ შავ მუშაობას: სდგამდენ დეკორაციებს, რომელიც რამოდენიმეჯერ თავზეც კი გვეცემოდა და გვენგრეოდა; მოგვქონდა ნაცნობებიდან ტანთსაცმელები; ხშირად იქვე დამსწრეთაც კი ვხდიდით ტანზე და პიესის დამთავრებამდე შალ-მოხურულს პაწია კულისებში ვაცდევინებდით. და ისიც გულში ამაყობდა, რომ მანაც საქმეს დახმარება გაუწია.

რამდენჯერ მოუტანია „დროგით“ დაუღალავ სოფიო დგებუაძისას საკუთარი ავეჯი და რამდენი რამ დამტვრევია და დაკარგვია ამ დაუსრულებელ „ექსპედიციებში“... სათითაოდ ვიკეთებდით გრიმებს, სცენის ქვეშ ერთ

პაწია საპირფარეშოში და საყვარელი ნიკო გოცირიძე ზრუნვით გვისწორებდა სახეზე ამ ნაჩქარევად წასობილ სალებავებს. ყველანი ვღელავდით, ვფუსფუსებდით და მაყურებელნი თმენით და სიყვარულით გველოდებოდენ; დაუსრულებელი ანტრაქტები — და ჩაქუჩების ცემა, ოდნავ მბჟუტავი განათება — თითქოს უმაღლესი მისტერია იყო მათთვის. და ამ ანტრაქტებში რა ტკბილი იყო გამგეობის მიერ ჩვენდამი „მოძღვნილი“ ჩაი პატარა ფინჯანებში და სულ პაწია ერთ ნატეხ შაქრით. ამღვრეული იყო ეს წყალი, არც ჭურჭელი იყო დიდის სიფაქიზით გაწმენდილი, მაგრამ სერიოზული სახე და დინჯი ასრულება ამ მოვალეობისა მოხუც დარაჯის არტემ ივანიჩის მიერ უფრო აღრმავებდენ ამ სიტკბოების შთაბეჭდილებას, და მერე ეს პატარა სცენა, საცა განძრევაც ძნელი იყო, სულ ვიწრო კულისები, და პაწია „ბუდკა“ სუფლიორისა, საიდანაც ერთნაირის სიხალისით გვიკარნახებდა ერთგული მიშა თუშმალიშვილი, კასებში კი ჩვენი დაუვიწყარი „შანშე“ (ალ. ბადრიძე)... და აქვე ნიკო გოცირიძე, რომელიც ჩვენთვის ღელავდა, მაგრამ გარეგნულად მუდამ გვამშვიდებდა და გვამხნევებდა.

ასეთი პრიმიტივებით ჩვენ მაინც დამთვრალნი ვიყავით, და რა ნაზი იყო ამ თამაშის შემდგომ განსვენებულ მარიამ დემურიას თანაგრძნობითი ღიმილი, თავზე ხელის მოსობა...

ამის შემდეგ ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ — სახალხო სახლი, დიდი თეატრიც — გაშლილი სცენა, ფართე კულისები, ცალკე საპირფარეშოები; გალსტუკიანებმა შესცვალეს შავი ბლუზები და დიდი აუდიტორიაც აჭრელდა. მაგრამ ის, რაც იმ პატარა სცენაზე განვიცადეთ — შემდეგ აღარ გვხვდა წილად. ჩვენს წრეშიც გაჩნდა „მიმართულებები“, რეპერტუარისთვის ბრძოლა, როლებისათვის ჩუმი უკმაყოფილება... დაიკარგა ძველი სისადავე და მრავალი პრეტენზიები დ პრეტენდენტები წამოიშალენ... ასეთია თანამედროვე კულტურულ თეატრების ჩვეული მხარე... და დღეს თქვენ თითქოს მოგწყინდათ ყველა ეს — ისევ უბრუნდებით ამ პაწია საბუდარს — ძველ პრიმიტივს; ფასები ისევ ორ შაურიდან ექვს შაურამდე, ისევ ქარხნებში დაურიგდებათ მუშებს ბილეთები“ და ისევ მოვლენ ნაცნობი სახეები — სიყვარულით, თანაგრძნობით დაგეხმარებიან ისინი; იმიტომ რომ თქვენ მათ ახსოვხართ, თქვენ მათ უყვარხართ... შეიძლება აქ სწყდებოდეს სწორედ ის საკითხი, რომელზეც დღეს თავს იტეხს ევროპის თეატრი, კრიზისის შიშით შეპყრობილი, რომელიც ათას ხელოვნურ ტრიუკებს იგონებს, რომ მაყურებელი დაიპყრას. არა, თეატრს ტრიუკები არ სჭირია; საჭიროა მისი სულის გაგება, მასთან სულ ახლო დაკავშირება, და ეს არის მისი სიცოცხლის სტიმული... ჩვენმა „ავჭალის აუდიტორიამ“ თავის წარსულში ეს უკვე დაგვანახვა და დღესაც დაგვანახვებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორი კოლექტივის ერთად შედუღებას, ერთად განცდას:

მსახიობთა და მაყურებელთ ასეთმა თეატრმა კრიზისი არ იცის — ის ცხოვრების ორგანიულ ნაწილად ხდება და მისი „ჩამოშორება“ გარდაუვალ სიცალიერეს ქმნის.

სალამი, ძვირფასო ამხანაგებო და სცენის მეგობრებო!.. მარტო ის მაწუხებს, რომ დღეს თქვენს წრეში არა ვარ, თქვენთან ერთად ვერ მხედავენ ჩვენი მუშები და ვერ განვიცდი უდიდეს ნეტარებას მათთვის თამაშით — ვერ ვსვამ თქვენთან ერთად „გამგეობის მიერ მოძღვნილს“ ერთ ჭიქა ჩაის. იყავით მუდამ ასეთი უანგარონი, ძვირფასო მეგობრებო, და თქვენი „ჯამაგირები“ ამ აუდიტორიის თბილი გრძნობა იქნება, როგორც მუდამ ყოფილა.

**თამარ გოგოლაშვილი.**

ჰამბურგი. 1924 წ. დეკემბერი.

# ის დღე როდესაც...

**ვანლერ დაისელს**

ზანგებს აეკლოთ თეთრი ქალი თავმოკვეთილი,
და მე შემიპყრო გადმოღვრილმა სისხლის კამარამ.
შემომეფეთა ჯვარედინზე სახე კეთილი
და გრიგალებმა პროფილებში დამასამარა.

ვიღაც მღეროდა სიყვარულით გამოქვაბული,
გული ლოცვებით გამურული რომ აეჩანგლა:
მთელი სიმძიმით მე დამაწვა შენი ფაბულა,
რამაც დახატა ეს სიზმრები და ასე ჩაჰკლა...

...და თვალებიდან მოფრენილი ცივი საღამო
ჩემ აღსარებას სახარებას თუ დააკლავდა,
გარდამოხსნასთან სიმწუხარეთ დავისახავდი,
რომ სიბრალული შენ კალთებზე მე გამიმკლავდა.

და ვლოკულობდი შეშლილივით მთვარის ქცევაზე,
რომ შეგიყვარე და კაცი ვარ გაღმერთებული,
ფიქრებს მკლავებში გაბაწრული მე უთავაზე
ჩემი ათეების მწვერვალები ღამის მთეველი...

შენ მიესვენე აზვირთებულ წვის აქაფებას,
და ექვსი ასო დასიასობს ჩემი სტიქია.
შენ ხარ ელვირა საქართველო, ჩემი გაგებით...
და ლანდიშები ათრთოლებით სადღაც სტირიან...

შენ ხარ ხალისი განაფერი სიყმაწვილესთან
და რომ მომთხარონ საფლავიდან ასი წლის შემდეგ,
ვერ იპოვიან ჩემს კუნთებში ვერსად ცვლილებას,
რომ დაისების კავალერი შენზე აშენდა...

სულში დატყდება წყურვილებათ ნდომა ნერონის,
ჩემ ხერხემალზე დანთხეული თეთრ ზედაშებათ.
მე დაგრეხილი სამარეშიც გავიმეორებ,
რომ დაისების კავალერი შენზე აშენდა...

...და ჩემს იღბალზე გატეხილი ის პარალელი
მოიტანს სიზმრებს საატლასო გაალმურებით,
სახე ვანლერის ამართული მზის კავალერი
და უნაზესი აკვნესება სალამურების ..
დამდნარ დაისებს საალერსოთ დაედევნება...

**სილეო-რეან**



ს. გ. მოგილევსკი ა. თ. მიასნიკოვი გ. ა. ათარბეკოვი

# ნერონი

კაიუს პელს.

გულლია არენა და რომის საღამო,
ბურლია ცირკი ყვითელი გარემო.
ბღვრიალა თვალებით ვეფხვები ელიან,
დაჩვეულ ქეიფს ელიან ვეფხვები...
წვიმა ჩამოდის კატაკომბებში
და ქრისტეს ჯვარს ჰკოცნიან ცრემლით.
ბრწყინავს სასახლე ბროლის სვეტებით
და ჰქრის, ჰქრის სიო მწვანე ფოთლებში...
ბანაობს ტიბრში მთვარე ქალწული
და გეტერები კრეფენ ყვავილებს...
ქანაობს ტიბრი ლიმონის ფერი,
დაფრინავს ბინდი შინდისფერ სერზე...
გეტერებს ტუჩებს უკოცნის ლოთათ
პოეტი სუსტი ვნების ჭრილებით...
ტიბრზე სწვიმს ლურჯი გუნდი ჩრდილების
და სიფერმკრთალე მარმარილოთა...
ბრწყინავს სასახლე ბროლის სვეტებში
და აყრის მინას მთვარე სიფითრეს...
მოწყენილ ნერონს ეტყობა დაღლა
და აგრიპინა ქოჩორს უსწორებს,—
უსწორებს სამოსს მრისხანე შობილს...
კუპრის წარბები ტეხენ სარკეებს...
ქეიფის ლოდინში შფოთავენ ვეფხვები,
გლადიატორებს სინჯავენ წვრთნედები.
თენდება რომზე სისხლის საღამო.
დღეს გაიხარებს რომი უგულო,
დღეს იხარხარებს რომი...
იმპერატორს მოელიან და ღელავს ცირკი...
ნიშანს იძლევა საყვირები...
იფერავს ტორებს რომი უგულო,
პირშავს სწყურია სისხლი...
ტრიუმფალკიდან ჩამობრძანდა იმპერატორი.
მუსიკის გრიალს უერთდება ბრბოს გახარება.
როგორც აკიდო ყურძნის მტევნებით
სავსეა ცირკი...
დღეს გიპნოსებით ისერება გული ათასი.
დაშენა ირგვლივ: „ნერონი, ნერონ“!..

**სანახაობა... სანახაობა... სანახაობა...**
**დღეს კოლხიდ·ლი ეჭიდება თურანელ ვეფხვებს**
**რომის ბრძანებით...**

დღეს მრისხანებით გაიღიმებს დიდი ნერონი.
დღეს იხარხარებს გახრწნილი რომი კოლხიდის სისხლზე.
სიცხეა ნდომა უგულო ბრბოსი...
დროს მოელიან, რომ დატყდება ბრაზი ქეიფათ.
ბრბოა მხეცების...
ბრბოა რომი...
დიდი მხეცი, რომის დიდი იმპერატორი..
მოუთმენელად ხალხი ელის სანახაობას
და ყლრიალებენ საკრავები როგორც ტახები...
მუსიკის გრგვინვა იძლევა ნიშანს
და არენაზე იჭრება ვაჟი.
კაჟია ნება და ქახდაკება კოლხი ჭაბუკი.
ბუკები კივიან.. კივიან ბუკები...
ცეკვამ გაავსო ცირკი გაკვირვებით.
სცემენ საყვირები...
ბრიალა თვალებს ვერ უძლებენ რომაელები,
ბროლები ტყდება თვალებიდან გაალმასებით...
წუთები ცოტა... და მოდის ვეფხვი
ბრაზიან ნდომით კოლხიდელისკენ...
მუსიკა გრგვინავს...
სანახაობა უჩვეულო მოულოდნელი....
ნერონის გულში სკდება სიბრაზის ყუმბარები...
ნერვიულ წარბებს... წაბლისფერ თვალებს
ათამაშებს ბოროტი ვნება....
**სისხლს სწყურია სისხლი,**
**სიცოცხლეს სძულს სიცოცხლე..**
ვეფხვის შეტევას იგერიებს ვაჟი გულადი...
სიამოვნება რომს ეცვლება დღეს გამწარებათ...

**კოლხიდის გული დღეს წუთში სცემს**
**ათი ათასჯერ..**
**მუსიკა გრგვინავს...**

**უცნაურობა მოულოდნელი.**
...და კოლხიდელი სწვდება ქეჩოში დაუნდობელ მხეცს
და ბურთივით გადაისვრის უგულო ბრბოში.:.
ტორმა გვირგვინი წააცალა დიდ იმპერატორს.
ვეფხის სიბრაზი ჰგლეჯს რომაელებს...
**ალიაქოთი.**
ნერონი მშვიდათ იცქირება ტყე წარბებიდან.
**კონკრეტი ბრძანება:**

,,**ხელებ-შეკრული უთავაზეთ ურჩი რაინდი**
**ვეფხვებს საჩუქრად...**''
მრისხანე ნერონს მოსდის ღიმილი...
არენის ცენტრში
შუბ-ამართული სდგას კოლხიდელი-და...
ელის სიკვდილს...
**ალყა ხელმარჯვე გლადიატორთა:**
იპობა მკერდები; ერთი... ორი... სამი... ოთხი...
ხუთი... ექვსი და...
კოლხიდელი ხელში დაჭრილი ძირს დაეცემა....
**ძმები ჰკლავენ ძმებს...**
**სისხლი ებრძვის სისხლს...**
**სიცოცხლეს სწყურია სისხლი**
**სისხლს სწყურია სიცოცხლე.**
**იწვება სული აატლასება უგრძნობელ ნივთთა,..**
**ვეფხვთა სასახლე**
..და ისევ მთვარე...
ძვლები მრავალი...
ცოცხალ გულში ჩარჭობილი
ბასრი ბრჭყალები...
ვეფხვები ლოკავენ სისხლიან თათებს.

**სძინავს რომს.**
სძინავს ნერონს.
სძინავს ტიბრსაც.
..და **ლუკრეცია** მოსთქვამს კოლხიდელს:
...და **ლუკრეცია** სტირის კოლხიდელს:
მას კოლხიდელი ძლიერ უყვარდა...

**არ სძინავს საქართველოს...**
არ სძინავს მცხეთას:
არ სძინავს მტკვარსაც:
ქორწილს უხდიან დღეს მეფის ჭაბუკს ცეცხლის ზეიმით
და მტკვარში ბანაობს იგივე მთვარე:
მთვარე ქალწული:
მთვარე ქვრივი:

ქარვისფერი ღამე. სატახტო ქალაქი

**ვანლერ დაისელი**



# აჭარისტანის სახელმწიფო აკადემური გუნდი მელ. კუხიანის (შლაპით) ხელმძღვანელობით

მცირე საინციატივო ჯგუფის თაოსნობით ბათომში 1923, სახკომსაბჭოს ნებართვით, დაარსდა აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული ხალხური კილოების შეგროვება და ნოტებზე გადაღება ფართე მასაში გასავრცელებლად. გამგეობამ შეადგინა მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელად და გამწვრთნელად მოიწვია დამსახურებული და გამოცდილ მუსიკოსი მელიტონ კუხიანიძე. ხანგრძლივი, დაუღალავი და ჩუმის მუშაობის შემდეგ გუნდი პირველად გამოვიდა ქ. ბათომის აკადემიურ თეატრში 1934 წ. მარტის 9, რომელმაც პირველი აკორდის თანვე იდუმალი ყურადღება მიიქცია დამსწრე საზოგადოებისა და მწყობრად, შეხმატკბილებულად შესრულებულ „ინტერნაციონალის“ გამო გულმხურვალე ოვაციები გაუმართეს. ამ საღამოს გუნდმა შეასრულა ხალხური, ეროვნული და ევროპიული სიმღერები, რომლის დამატკბილებელმა ჰანგებმა სულიერი აღტყინება გამოიწვია.

გუნდის პირველი კონცერტი სრული გამარჯვებით დასრულდა. გუნდი კვლავ დაუღალავად განაგრძნობს მუშაობას და რეპერტუარს დღითი-დღე ამდიდრებს ახალ-ახალი ჰანგებით.

აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. თახსინ ხიმშიაშვილი დიდი ყურადღებით მოეკიდა ამ ფრიად კულტურულ საქმეს და, ჩვეულებრივი, გულმოდგინებით და სიყვარულით აყვავების გზაზე დააყენა ის: მისი თაოსნობით და უახლოესი დახმარებით აკადემიური გუნდი გამოწყობილია ეროვნულ ტანისამოსში—სირმებით მოვარყაებულ აჭარულ ჩაქურაში, რაიც წარმტაც შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ გუნდს არა ნაკლები ყურადღებით ეკიდება აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარიატი, მისი ხელმძღვანელი სულეიმან ვარშანიძის მეთაურობით, ასეთი მოპყრობით წახალისებულმა გუნდმა ხანმოკლე დროში უფასო კონცერტები გაუმართა აჭარელ ფუხარა ხალხს—პირველად ქობულეთში, შემდეგ—ჩაქვში. ქობულეთში თვით ქალებიც კი გამოდიან კარჩაკეტილობიდან და მიისწრაფიან კონცერტებზე. ყოველი სიმღე“რის შესრულებას მქუხარე ტაშით და „სალოლ, სალოლის ძახილით ეგებებიან.

**გრ. შავიშვილი.**

# სატრფოს ელეგია

ვით შემოდგომის ცივი ქარი, წივილ-კივილით
მიმოიკრება უგზო-უკვლოდ თავის მახვილით,
ისე სოფლიდან გამორბოდა თმა-გაშლით ქალი;
ტყისკენ ილტვოდა უადგილო ვაის ძახილით.
შუა გულ ტყისკენ მიდიოდა როგორც შეშლილი,
არ უდრკებოდა წინ ჩამომდგარ ნარ-ეკალთ ზღუდეს,
გონება-წასულს, არ ესმოდა რას სჩადიოდა,—
არსება მისი აეშალა ავ სულთა ბუდეს.
ეკლნარ ჯაგებში თავისუფლად ვერ გაიარა,
შიშველა ტანზედ აჩნდებოდა წყლულის იარა.
დაოსებულმა მწუხარებით ჩაჰკიდა თავი.
ამ დროს მოესმა იქვე ჭოტის ხმა, შემზარავი.
სახე-დამანჭვით გარს მოავლო სიბნელეს თვალი;
შეჰკივლა: „ღმერთო, საითაა ჩემი სავალი?
ან შენ, განგებავ, გულის სატრფო რათ მომიკალი,
რათ ჩამინერგე გაუქრობლად ცეცხლისა ალი?
მომეცი უკან, დამიბრუნე ჩემი საუნჯე;
რად გაუჩერე ენა ტკბილი, რათ დაამუნჯე,
მიწის ქვეშ მოჰყვა, ბნელმა ძალამ აჯობა იმას;
მე აქ დამტოვა, რომ ვაპნევდე მას ცრემლთა წვიმას.
თუ ამოვგლიჯო ჩემს გულიდან დარდი მწუხარე
გარდავივიწყო და კვლავ გავხდე, ხმა მონარნარე...
მაგრამ... ახ, არა! რაც გატყდება—აღარ მრთელდება.
ჩემი ცხოვრების დრო და ჟამიც სწრაფად სველდება.
გამისხლტეს ფეხი, მივგორდები სამარის კარსა
და ჩემსა სატრფოს ჩავეკვრები ტკბილ მოუბარსა!“
ასე მოსთქვამდა ის ბედკრული, ტანჯული ქალი,
მთლად გაჰქრობოდა კოხტა მკერდი, ბრგე, ბროლ-ფიქალი;
ზედ დაეჩნია დაღი თვისი გამქრალ სიყვარულს,
ნაკადულისებრ დაეღარა სახე ცრემლის რულს...
სამი დღე არის მიაბარეს სამარის კარსა
ის, ვინც უყვარდა, ევლებოდა ტრფიალით გარსა;
სამი დღე არის, რაც გაიჭრა ტყეში, მწუხარე,
რომ სამუდამოდ იქ ედინა ცრემლი, მქუხარე...
ხშირ ღრან ტყეში დადიოდა, როგორც ეული,
სხეულზედ ეცვა სამოსელი მთლად დახეული!..

**ა. კუპრაშვილი**

# სასარგებლო წიგნი

### ია. ლომაური

**ციებცხელება ანუ მალარია საქართველოში.**

ჩვენი ხალხი ბუნებისაგან ნიჭით არის დაჯილდოებული, მაგრამ ცალიერმა ნიჭმა რა ჰქნას, თუ ის ცოდნით არ იქნება განაყოფიერებული.

ცოდნა დღეს ყველასათვის არის საჭირო განსაკუთრებით გლეხობისათვის, რადგანაც მისთვის იწყება სრულებით ახალი, უჩვეულო ხანა. და რომ ახალ ცხოვრებას შესაფერი ნაყოფი გამოაღებინოს, უსათუოდ უნდა აღიჭურვოს ცოდნით.

ჩვენი უდიდესი მტერი არის ცოდნის უქონლობა.

ჩვენი ქვეყანა არის საუცხოვო მხარე მეურნეობის ყოველი დარგის ასაყვავებლად. ჩვენი სოფელი კი ღარიბია, რადგანაც მოკლებულია სამეურნეო ცოდნას. ჩვენი ქვეყანა იშვიათი კუთხეა ყოველგვარი სნეულების განსაკურნავად: ჩვენ კი დასნეულებული ვართ, განსაკუთრებით დასნეულებულია ჩვენი სოფელი და ერთი მიზეზი ამ უბედურებისა არის უცოდინარობა.

ციებცხელება არის ჩვენი ისტორიული მტერი. არავითარ მტერს არ მოუყენებია ჩვენთვის იმდენი ზიანი რამდენიც ამ საშინელ სენს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეს პირდაპირ ანადგურებს.

ამ სენთან ბრძოლა ძნელია და ეს არის დიდი სახელმწიფოებრივი საქმე. ის უნდა ითავოს მთავრობამ. ხოლო შენელება ამ სენისა შეუძლია თვითეულ ოჯახს, ყოველ სოფელს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ცოდნა.

სახალხო წიგნი მეცნიერების დარგიდან ჩვენში მეტად მცირეა; თუ არის, ისეთი ენითაა, დაწერილი, რომ სოფლის გლეხი ვერ გაიგებს.

მალარიის შესახებ არის ჩვენში მეტად კარგი შრომა ექიმ რუხაძისა, მაგრამ ეს წიგნი სახალხო არ არის.

ამ ნაკლს ავსებს ექიმ ლომაურის ,,ციებცხელება ანუ მალარია საქართველოში.“

ავტორს აუღია მოთხრობის ფორმა და მთელი წიგნი საუბრის სახით არის დაწერილი. პირადათ მე ასეთი ფორმა ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია ყოველი სახალხო წიგნისათვის. წიგნი დაწერილია წმინდა ქართული ენით, ყოველი მცნება და დებულება ისე სადათ და ადვილად არის გადმოცემული, რომ ყოველი მოუმზადებელი მკითხველისათვის სრულებით გასაგებია.

ავტორს საუცხოვოდ სცოდნია ხალხური ენა და გლეხს ესაუბრება მისივე ენითა და მისივე სიტყვებით.

სახალხო წიგნის ავტორს ერთი დიდი დაბრკოლება უძევს წინ: პოპულიარობის გულისათვის სულ ხშირად მახინჯდება მეცნიერება.

ეს სიძნელე საუცხოვოდ გადაულახავს ჩვენს ავტორს: მეცნიერება იმის წიგნში უნაკლოდ არის დაცული ამავე დროს ყოველი მცნება მეტად მარტივად არის განმარტებული და გადმოცემული.

საერთოდ წიგნი ნიჭიერად არის დაწერილი და სასურველია, რომ ფართოდ გავრცელდეს და ყოველი გლეხის ოჯახის კარი შეაღოს.

56 გვერდზე ავტორი იხსენიებს ბურთულების ჩენჩოს. გაცილებით უკეთესია ჩენჩოს მაგიერად გარსი, მით უმეტეს რომ ეს უკანასკნელი სიტყვა უკვე მიღებულია ჩვენს სამეცნიერო მწერლობაში.

**ივ. გომართელი**

# კონსტანტინე ჭიჭინაძე

(ესკიზი)

რაჭის მდუმარე, პირამიდებად აღმართული მთები. ჩანჩქერების შეუწყვეტელი ხმაური. ახავერდებული ველები, დამშვენებული ფერადი ყვავილებით. ღამიანი და იდუმალებით მოცული ნაძვნარები. უშრეტი დენით მოხეთქილი წყაროები, რომლის გარშემო განთიადის ჟამს თავს იყრიან სალაღობოდ ნაზი შველები. ცის ლაჟვარდებში ვარდისფრად ანთებულ ღრუბელთა ქარავნების მოგზაურობა... საღამო აქ მოდის როგორც დაღლილი ქალწული და უკანასკნელი გალიმებით კვდება მთის ნაპრალებში. მსუბუქ ოცნების მორევში ჩაძირული მწყემსის ნაღვლიანი სალამურის ჟრუანტელის მომგვრელი ხმა. ნიავები არხევენ ტბიდან ატყორცნილ ლერწამს და იმის ფოთლების ნელი შრიალი,



მიხ. ხუხუნაიშვილი

ავტორი ისტორიული რომანის **„მაია წყნეთელი"**, **„ჟ·რდანია"**, **„მღელვარ ტალღებში"**, „Комнячешка" და სხვა. მისივე რედაქტორობით გამოიცა **„საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალებ·"**—6 ტომად (1200 გვ.). ამ მოკლე დროში **ამხ. მირიანი** მიემგზავრება ჩრდილო-ამერიკაში უმაღლესი სპეციალური სწავლის დასამთავრებლად.

რიონი: ხან სუსტი, როგორც სნეული ქალი და ხან გაშმაგებული მრისხანე რუხი ნადიროვით, დატვირთული მრავალ და შორ საუკუნეთა მოგონებებით.

მდინარის სარკე: დაფერილი მთვარეებით, რომელშიაც იხედება ვიღაც მგოსანი; ხედავს ფერწასულ სახეებს მოცეკვავე ლანდებისას და ეფერება მათ უნაზესი სიყვარულით. სული მისი ხან ნაზია, როგორც გაზაფხულის სუნთქვა და ხან გაშმაგებული, დემონიური, ცხელი ანთებით.

დაღლილ ფიქრებში მიეძინება მდინარის მწვანე ნაპირზე და ხედავს სიზმარს: თავდახრილი, მგლოვიარე მანდილოსნები ტირიან მასზე და იგონებენ მის დაკარგულ და სამარადისოთ განუმეორებელ ახალგაზრდობას, გაფრენილ დღეებს სიცოცხლისას. მღერიან ელეგიებს შორეულ გიშრისფერ ღამეებზე...

უცბად, მზეები აენთებიან, ზღვაურ შუქთა შადრევნები გადმოიღვრებიან ოცნების უსაზღვრო ცაზე და შარავანდედით მოსილი, პოეზიის ჩუმი რაინდი გახელებული ლანდივით მოასკდება ეკრანზე...

ეს ხომ კონსტანტინე ჭიჭინაძეა, უნაზესი გრძნობებით, უკვდავი სიმღერებით, რომ შემოიჭრა ქართული პოეზიის აფერადებულ ბაღნარში და მოიტანა უქენობი მთის ყვავილების სურნელება.

კონსტანტინე ჭიჭინაძე მდიდარი ინტუიციის პოეტია, რომელმაც შესძლო განეჭვრიტა· მშობლიური ბუნების ვიზიონერული სახე.

„რიონის აპოლოგია"-ში მოცემულია უხვი პოეტური სახეები მოქნილი და ულბილესი სტრიქონებით, გამთბარი უნაზესი გრძნობებით და მუსიკით. აქ დემონიური, აფორიაქებული სულის გაქანებაა, რომელმაც არ იცის არავითარი საზღვარი და დაბრკოლება.

„მოგზაურობა ანთებით"—ეს ხომ კოსმიური ასახვაა სამყაროსი, განათებული დანტეს ღვთიური ცეცხლით. ლამაზია მისვლა ძველი კულტურის ქვეყნებთან: როგორიც არის საბერძნეთი და რომი, რომელთა ნათელ საუკუნეებს ამეტყველებს შესაფერი რიტმით. მხოლოდ დიდ და უსაზღვრო ინტუიციის პოეტს შეუძლია განიცადოს ის იღუმალება მსოფლიოსი, რომელიც აქ არის გადაშლილი უსივრცო ლანდშაფტებათ. მეორე: მხარე: ჩრდილოეთის პოლიუსი, სადაც გიპყრობთ ცავი და ნერვიული კანკალი გარემოსი, შემოსილი მარადიული თოვლით და ყინვით. პოეტი ვერ ასწრებს ყველას და ყველაფერს თვალი მოავლოს და სინანულით ამბობს:

„კოქლი ჩაფარი ჩანთიანი დამზრალ ხელებით
დავარდნილ რქის ტარს აიღებს და აგებს დანაზე
მე გამახსენდენ ხანგები და მალაელები...
ღმერთო, რამდენი ვინმე ცხოვრობს ამ ქვეყანაზე!

უცბად იტაცებს მას მზის ცხოველმყოფელი სინათლეები და მიიჩქარის მისკენ, სადაც უერთდება ურიცხვ პლანეტებს, რომელთა იდუმალებით გაოცებული ხედავს მარადისობის უდაბნობებს:

„იქ მზეებია ქვიშასავით დაულეველი,
მაგრამ სულ ყველას მოინელებს შავი მუცელი;
ჟამთა დენის და სივრცეების ივი მეველე
ყველგან გაჩნდება შტანდარტივით აწეულ ცელით".

კონსტანტინე ჭიჭინაძის პოეზიაში უხვად არის ეროტიული განცდები, დათენთილი შორეულობით და მგრძნობარე ლირიკით.

მის ლექსთა შორის აღსანიშნავია გარდა პოემებისა: „finis", „კორინა", „აკვარელი" და სხ.

მე ვგრძნობ კონსტანტინე ჭიჭინაძეს როგორც სერიოზულ და ნიჭიერ პოეტს, რომელიც სათუთი მოკრძალებით და ღრმა დაკვირვებით ეპყრობა ხელოვნებას.

კიდევ მეტს მოველი მის მადლიან კალმისაგან.

**არნო დიელა**

# რით უნდა დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წ. თავი?

**(ქართველი ერის საყურადღებოთ).**

XIX და XX საუკუნეთა გამოგონებებს (მეცნიერებასა და ტეხნიკაში) მთელი კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს, მაგრამ ვერც ერთი გამოგონება ვერ შეედრება ჰუტენბერგის მიერ 450 წ. წინად გამოგონილ ბეჭდვითი საქმეს. (შემდეგ ეს გამოგონება 2000 „ გაუმჯობესდა).

ერთი ჰენიოსი ამბობს: „ერის სიმდიდრე, მისი ავლა-დიდება ლიტერატურააო". მართლაც, რა სიმდიდრე შეედრება ლიტერატურას? მასთან შედარებით ყოველივე არარაა!

აბა მითხარით, რა იქნებოდა ბეჭდვითი სიტყვის გარეშე ადამიანის ცხოვრება?—რით შეიძლებოდა ასე



მფრინავი შპილი.

## საშინელი უბედურების მსხვერპლნი

1925 წ. მარტის 22 ჰაეროპლან „იუნკერს“-ზე გაჩენილ ცეცხლის დროს დაღუპულნი



მფრინავი სალარაძე.

სწრაფად განვითარებულიყო და გავრცელებულიყო უწიგნოდ, უგაზეთოდ, უსკოლოდ: სწავლა, ცოდნა, განათლებას

ამდენი ახალ-ახალი გამოგონება შედეგია მხოლოდ ბეჭდვითი საქმის განვითარებისა.

ჰუტენბერგის გამოგონებამ ქართულ ენაზე, 15C წ. შემდეგ, პირველად რომში იწყო მუშაობა 1625 წ. და წელს, 1925 წ., შესრულდა **სამასი წლისთავი**.

იუბილე ჩვენში ხშირია: მოარულივით მოედო, არა თუ მარტო ჩვენს დედაქალაქს, არამედ დაბა-სოფლებშიაც იგი ყოველდღიურ მოვლენად გარდაიქცა...

მაგრამ მე ვფიქრობ ასეთი იუბილე ქართველ ერს საუკუნოებში არ შეხვდება, მისი სხვასთან შედარება შეუძლებელია, გადადება ან დავიწყება ყოვლად მიუტევებელი.

დღეს გამოღვიძებული ქართველი მშრომელი ხალხი ვალდებულია ეს 300 წ. თავი დიდი ზეიმით იდღესასწაულოს და რაიმე საშვილისშვილო საქმის შექმნით აღნიშნოს.

საქართველო, რაც იგი რომანოვების იმპერიას „დაუძმობილდა“, 117 წ. განმავლობაში მოკლებული იყო საკუთარ თავისნობას როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში...

ცენტრი წინააღმდეგი იყო ჩვენში ყოველგვარ თვითმოქმედების, საკუთარ მრეწველობის, რიგიან და სასარგებლო მაღალ თუ საშუალო სპეციალურ ცოდნის შესაძენი სასწავლებლის დაარსებისაც-კი, რადგან ადგილობრივი სასწავლებლები, ადგილობრივი ქარხნები და სამრეწველოები ქართველთათვის ხელმისაწვდომი, ადვილათ ცოდნის შემძენი, თვალის ამხელი და შემაკავშირებელიც იქნებოდა... ეს კი ცენტრს, იმპერატორს, ჩვენი გარუსების, გადასახლების, დაქსასვისა და სამაგიეროდ რუსების ჩამოსახლების პოლიტიკას დამღუპველად მიაჩნდა...

აი, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ბუნებით მდიდარსა და შემკულს ქვეყანაში, ამ „მთელი იმპერიის ფირუზ-მარგალიტში“ (ნიკოლოზ II-ს სიტყვებია), რომანოვების მეფობის დამხობამდე არ იყო მთელს კავკასიაში, ამ სამ ისტორიულ, კულტურულ ერების, სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არც ერთი უნივერსიტეტი, არც ერთი საშუალო სამეურნეო, ტეხნიკური და სპეციალური ცოდნის სასწავლებელი, არც ერთი საქსოვი, ან სხვა რაიმე ქარხანა და სამრეწველო დაწესებულება, სადაც 40 მუშის ადგილი მაინც ყოფილიყო. მოკლედ: მეფის მთავრობას არაფერი არ ემეტებოდა ჩვენთვის, განაპირა ქვეყნისთვის „ინოროდცებისათვის“.

მეფისა და მისი მთავრობის დამღუპველ პოლიტიკას, მთელი იმპერიის ტერიტორიაზედ, რაოდენიმე მილიონი რჯულნი და სასიქადულო მამულიშვილნი შეეწირენ და როცა ამით სისხლის ზღვა კალაპოტს გადასცილდა, მეფე და მისი ტახტი უფსკრულში ჩაითრია და ჩაღუპა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დაარსება, ჰიდრო-ელექტრონის სადგურების აგება, საქსოვი ქარხნების და სხვადასხვა სამრეწველოების ამუშავება და მოკლე დროში, მე ვფიქრობ, უფრო ჩქარის ნაბიჯით გამრავლდება მათი რიცხვი ჩვენს მხარეში...

მაგრამ... მაგარიც ისაა, რომ ქართველი ერი ამას ვერ მოუცდის, ქართველი მშრომელი ხალხის საარსებო მორიგ საკითხში გადაუდებელია ეს 300 პ. თავის სახელოვანად დღესასწაული და ამ დღესასწაულის საზეიმოთ საჭიროა მან შექნას ისეთი ხასიათის საქმე, რომ ამით მთელი ერი ამაყობდეს, მთელი მშრომელი ხალხი სარგებლობდეს: მართლა საზეიმო, საამაყო და იმავე დროს სასარგებლოც იყოს...

ასეთი საქმეა დღეს ჩვენთვის ქაღალდის ქარხანის დაარსება.

ქაღალდის ქარხანა ბეჭვდითი საქმეს ყველაზე მეტათ ესაჭიროება.

ქაღალდის ქარხანა საქართველოს ტერიტორიაზე 100 ჯერ უფრო სასარგებლო და ადვილი ასამუშავებელია, ვინემ სხვა ადგილებზე.

ქაღალდის ქარხნისათვის არსად არ არის ისეთი პირობები, როგორც საქართველოში; განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ქაღალდის ქარხანა ისე დაშორებული დღეს თითქმის არც ერთს მხარეს არ აქვს, როგორც ეს საზოგადოთ ამიერკავკასიის ერებს და სპარსეთს.

ამ 10 წ. წინათ კავკასიაში ქაღალდი ფილანდიიდან მოდიოდა: ზღვით, წყნარ ოკეანეზე უნდა შემოევლო ď ექვსი თვის შემდეგ მოსულიყო.

დღეს ზღვით გამოგზავნა შეუძლებელია და სამაგიეროთ 4 ჯერ მეტი ფასი უნდება მოტანას და ქაღალდიც 4 ჯერ მეტი ფასობს...

სულ სხვა იქნება, როცა ქაღალდის ქარხანა ჩვენში იქნება...

ქაღალდის ქარხნისათვის მასალები არსად იმოდენი არ იშოვება, რამდენიც საქართველოში. დასავლეთ საქართველოში შეიძლება სამი-ოთხი ქარხნის ამუშავება. ვერც ერთი ქარხანა და ვერც შავი ქვა, მარტო ეკონომიური თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ, მაშინაც ვერ მოგვცემს იმას, რასაც ქაღალდის ქარხანა...

არც ერთ' ქარხნის წარმოებას და ნაწარმოებს არ დასჭირდება ჩვენში იმდენი მუშა-ხელი, რამდენიც ქაღალდის ქარხანას და ნაწარმოებს.

ამისი დაწვრილებითი აღსნა და განმარტება ახლა, ამ წერილში შეუძლებელია,—ამაზე მექნება ცალკე დაწვრილებით დასაბუთებული მოხსენება. მხოლოდ ამ ჟამად მოკლედ ვიტყვი, საჭიროა ამ დიდი დღესასწაულისათვის საზეიმოთ ვემზადოთ: გავმართოთ ბეჭდვითი საქმის **პირველი გამოფენა**, დავაარსოთ ამ დღესასწაულის საზეიმოთ **ქაღალდის ქარხანა** და ამითი დავაგვირგვინოთ ის დიდი საქმე—გონების ლამპარის წყარო—რომელსაც მწიგნობრობა ეწოდება. *)

კ. თავართქილაძე.

15 მარტი, 1925 წ.
დედაქალაქი.

# უკანასკნელი წუთები

(დასახული. იხ. „თ. და ც." № 6)

**მღვ**. ვერაფერი გაგასწორებს, მიიღე წმინდა ზიარება (წამოდგება) „სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა". რა გქვიან სახელი? (მოუტანს კოვზს).

**განწ**. გესმის, არ მინდა მეთქი! თუ ყველაფერი ეგ დანაშაულია, რაც მე ვსთქვი, დეე წავწყდე, მაშინ თქვენი ღმერთიც, რომლის არსებობაც ეგრე საეჭვოთ მიმაჩნია, თქვენი მთავრობასავით უკანონო ყოფილა.

**მღვ**. კმარა, ნუ შეურაცყოფ ღმერთს. (კიდევ მიუტანს კოვზს) ეზიარე...

**განწ**. რადგანაც არ დაგიშლიათ, მომეცით (გამოგლეჯს კოვზს და დაღვრის), ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, თქვენი გზა მოსძებნოთ.

**მღვ**. (გაბრაზებით) რას სჩადი, შე ავაზაკო, შე კაცის მკვლელო, პირუტყვო... არ გეყო ამდენი ცოდვები, ეგეც დაუმატე?!

**განწ**. (ხელს მოკიდებს და მეორეთი კარებს უჩვენებს) კარგი, კმარა, გასწი... მომშორდი, დამასვენე.

**მღვ**. (ხმის აწევით) ხელითაც მეხები! იყავ წყეული ღვთის პირისაგან, ჯოჯოხეთის გეენა იყოს შენი სამუდამო ბინა, ალითა და ცეცხლით განუწყვეტლივ იწოდეს შენი ბოროტი სული.

**განწ**. (ხმა-მაღლა) კარგი, მომცილდი, თავი ნუ მომაბეზრე.

**მეკ**. (შემოდის) რა ამბავია, რას ხმაურობ? (მღვდელს) შეურაცყოფა ხომ არ მოგაყენათ, მამაო?

**მღვ**. ავაზაკი მუდამ ავაზაკია სიკვდილის წინაც, მაშ მაგისგან რაიმე სიკეთეს უნდა მოველოდეთ?!

**მეკ**. ეგ მე არ შემეხება, მობრძანდებით თუ დარჩებით?.

**მღვ**. მოვდივარ. (გადიან).

**განწ**. განა მაგათ ავის კარგისაგან გარჩევა შეუძლიათ?! განა ოდესმე ეგენი სიმართლეს იტყვიან?.. განა მათ სხვაზე ნაკლები ცოდვა აწევთ კისერზე, რომელსაც ეშმაკურად მალავენ და თავს სხვას უცოდველათ აჩვენებენ.... (წამოდგება) რათ არ გამოგზავნეს აწი, ნუ თუ ვერ მოახერხეს... (პაუზა) ჩვალ ამ დროს მე უკვე აღარ ვიქნები, ჩემი მძოვრი მიგდებული იქნება მიწაში ჭია-ღუათა საღერღნელათ. (უცებ წამოხტება) უ, უ, უ, საშინელებავ!.. (ბოლთასა სცემს. პაუზა. შემდეგ ისმის სამჯერ, სამ-სამი რახუნი კედელზე). ჩუ, ვგონებ მეძახიან (მიდის კედელთან, რახუნი მეორდება) ჰო, მეძახიან. (მიდის. ისეთივე პასუხს აძლევს რახუნით). რა უნდათ აწი (ყურს უგდებს, ისმის რახუნი ორი ერთად, შემდეგ სამი, მერმე ორი და დასასრულ ოთხი) გამოუგზავნიათ. ძალიან კარგი. (აძლევს პასუხს ოთხი დარახუნებით). ვგონებ მივაღწევ მიზანს (წამოდგება და გაივლ-გამოივლის). კარგია თუ არ დაუჭირეს... მაგრა სულ ერთია, ცოცხალი მაინც არ დავნებდები მაგ ჯალათებს.. (პაუზა) მოთმინების ფიალა ამევსო, მოხდეს რაც მოსახდენია, მოვისვენებ მაინც.

**ტუსაღი** (ხელს შემოყოფს და რაღაცას გადმოაგდებს) აჰა, გამოგიგზავნეს, ფრთხილად იყავი, არ გინახონ თვარა კარცერში ჩაგაგდებენ...

**განწ**. (აღტაცებით) დანა არის?!

**ტუს**. დანა არის.

**განწ**. დიდათ გმადლობთ, მეგობარო, მადლობა ამხანაგებს.

**ტუს**. თუთუნი ხომ არ გაკლია?!

---

*) ქაღალდის ქარხნებს და ქაღალდის მუშაობას მე საფუძვლიანათ გავეცანი 1895 წ, ამ დროს პეტროგრადში პირველი გამოფენა იყო ბეჭდვითი საქმისა. გამოფენაზე და ფინლანდიაში ქაღალდის ქარხნის ნახვამ გამიადვილეს ამისი საფუძვლიანათ დათვალიერება, გაცნობა და მისი ყოველივე საიდუმლოების შესწავლა...

ისე დამაინტერესა ამ საქმემ, რომ გადავწყვიტე ქაღალდის ქარხნის დაარსება გურიაში 1900 წ. (ქარხანა უნდა გამეხსნა 1895-96 წ. დაარსებული გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალის" ფირმით). მაგრამ 1898 წ. მე „შუამავალი"-ს გამგის თანამდებობიდან გადამაყენეს (არა „შუამავალის" წევრებმა) და ქაღალდის ქარხანაც დავიწყებას მიეცა დროებით... 1902 წ. ბათომის ჟანდარმერიამ წინადადება მომცა: „უკეთუ შენით არ წახვალ ქუთაისის ღუბერნიიდან და ბათომის ოლქიდან, მერმე ჩვენ თითონ გაგგზავნით უფრო შორს, ცივს ადგილებშიო".—მე, ჩემდა უნებურათ გადმოვედი ტფილისში... 1910 წ. კიდევ გავმართე ერთს დიდ გამოცდილ და ქაღალდის ქარხნის მცოდნე კაცთან ლაპარაკი (ივანე გაიდამაკინი), დავათვალიერე ადგილები და მასაც გავაცანი ყოველივე. მან სამეგრელოში დადიანისგან იყიდა დიდი მოხერხებული მამული, ქაღალდის ქარხნისთვის, მაგრამ 1914 წ., ომის გამოცხადე ის შემდეგ ესეც დავიწყებას მიეცა. ახლა ეს მამული თავისუფალია, ივანე გაიდამაკინი ახლაც აქ არის და გამოსადეგია პრაქტიკული რჩევისათვის.

კ. თ.

**განწ**. კარგი იქნება, თუ დამიტოვებ, წამართვეს...

**ტუს**. ჰა, მეტი არა მაქვს, რათ არ შემატყობიე... მშვიდობით, ყოჩაღათ იყავ. (გასცილდება სიმღერით „ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო“-ს ხმაზე).

**განწ**. ესეც ასე! (აიღებს დანას) კარგი მჭრელი ყოფილა. (მალავს ქუდში) ახლა კი მივაღწევ მიზანს.
(ისმის ზარის ხმა, კარების რახა-რუხი და მეკარის ყვირილი: „შემოწმება იწყება, დაემზადეთ, სმენაა“).

**განწ**. დაჰკრა უკანასკნელმა ჟამმაც, მაგრამ ბედნიერება მეწვია... ჩემს სიცოცხლეს არ ჩავაბარებ იმ მურტალ ხელებს, რომლებსაც იგი ჩემთვის არ მოუცია. (შებრუნდება წამოსაწოლად).

**მეკ**. (უცებ შემოდის რევოლვერ-ამოწვდილი) სმენააა, ხელები ზევით! (განწირულიძე უცებ გაშეშდება და ხელებს ასწევს ზევით, მეკარე სჩხრეკს) გაიძვრე ფეხი, მალე... ვინ იყო ახლა შენთან?!

**განწ**. არავინ.

**მეკ**. როგორ არავინ, მე თვითონ დავინახე.

**განწ**. თუ დაინახე, მე რაღას მეკითხები?!

**მეკ**. იმიტომ, რომ არ შეიძლება, ეს კანონის დარღვევა არის.

**განწ**. გეუბნები ჩემთან არავინ ყოფილა.

**მეკ**. ეგ ჩემთვის სულ ერთია, გეუბნები არ გაბედო, აწი არ გაბედო, კანონის დარღვევა ყველასთვის აკრძალულია. (გადის).

**განწ**. (თვალს გააყოლებს) სულელი, არავინ უნახავს, მაგრამ დერეფანში გამვლელი ტუსაღი რომ იპოვა, მაინც შეეშინდა, იფიქრა სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და მანც გამჩხრიკა... (პაუზა) მომბეზრდა მოლოდინი, არც არავის მოუცდი, რათ უნდა მოუცადო, სულიერი ტანჯვის მეტს რას უნდა მოველოდე? (პაუზა) ეგ ძალიან კარგია ჩემ სიცოცხლეს რომ მე უკვე დავეპატრონე. (პაუზა) ეჰ, რა უდროო დროს ბნელდება ჩემი მზე! კიდევ ბევრი რამის გაკეთება შემეძლო. (პაუზა) საწყალი ჩემი ცოლშვილი, ჩემი პატარა ბიჭიკო; მან ჯერ არც კი იცის ვინ არის მამა მისი... კმარა, კმარა სილაჩრე, შორს ჩემგან მე არას დროს ლაჩარი არ ვყოფილვარ და არც მინდა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც ასეთი ვიყო, ბრძოლა, ბრძოლა ბოლომდე... ბრძოლა გამარჯვებამდი... მაგრამ მე რომ დავმარცხდი... (ცოტა ხნის შემდეგ) ეგ არაფერი ჩემი ამხანაგები გაიმარჯვებენ...

**ციხის უფროსი** (გარედან ხმაურობით და ლაპარაკით) ერთი წყება მარჯვნით, მეორე მარცხნით, თქვენ ორი კი ჩვენ შემოგვყევით, დანარჩენებს დაგიძახებთ თუ საჭირო იქნება. (მეკარეს) კარები გაალე.

**განწ**. აჰ, უკანასკნელი წუთებიც ყოფნისა, უნდა დაიწყოს არ ყოფნა. აბა, ყოჩაღათ, ახლა მინდა ყოჩაღობა. (წელში გასწორდება.)

**მეკ**. (უცებ შემოდის) სმენააა! (შემოდიან ციხის უფროსი, მღვდელი და ზედამხედველები).

**ციხ. უფ**. თანახმად სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებისა, თქვენ გქონდათ გადაწყვეტილი სიკვდილით დასჯა; განაჩენი უნდა მოყვანილი ყოფილიყო სისრულეში ორმოცდაოთხ საათში. მოემზადეთ. (მღვდელს) წმინდა ზიარება მიიღო მამაო?

**მღვ**. ზიარების მიღებაზე უარი განაცხადა. (ტუსაღს) მოდი შვილო გონს, შეგინდობ ყოველივე იმ დანაშაულს, რომელიც ჩემს წინაშე მიგიძღვის და წმინდა ზიარება მიიღე.

**განწ**. არას დროს... მე დამნაშავედ არავის წინაშე არ ვთვლი თავს.

**ციხ. უფ**. სტყუი, უსინდისოდ სტყუი შე ავაზაკო.

**განწ**. ავაზაკი მე კი არა, ის არის, ვინც უდანაშაულოთ სჯის ადამიანს, ავაზაკები თქვენა ხართ.

**ციხ. უფ**. კმარა, წამოიყვანეთ.

**მეკ**. მოგვყევი! (განწირულიძე არ იძვრის) მოგვყევი გესმის რას გაჩერებულხარ.!!

**ციხ. უფ** როგორ! არ მოდის?!

**განწ**. დიახ, არ მოვდივარ.

**ციხ. უფ**. რაო, რას ბოდავს. შეკარით, წამოათრიეთ. (მეკარეები ყოყმანობენ.)

**მღვ**. უკანასკნელი რჩევაა, შვილო ჩემო, ნუ ურჩობ, დაემორჩილე კანონს. კანონი ყოველთვის ღვთის პირით მოქმედებს.

**განწ**. სტყუი, ყველა სტყუით.

**ციხ. უფ**. გესმით თუ არა ჩემი ბრძანება, თქვე ბრიყვებო, რას გაშტერებულხართ. (მეკარეები დაეტაკებიან ტუსაღს).

**(ისმის ხმები**: „შეკარით, შენ ხელები დაუკავე“, „ბაწარი მოიტა“ და სხვ.).

**განწ**. როგორ, ძალით გინდათ წამიყვანოთ?! არას დროს... ჩემი სიცოცხლის მბრძანებელი მე თვითვე ვარ, (ხელით შეუტევს) გასწით, არ მომეკაროთ, თორემ ძაღლივით დაგახრჩობთ. (ხელს გააშვებინებს და დანას ამოიღებს).

**ციხ. უფ**. დანა ჰქონია, საიდან? ვინ მისცა? სწრაფად დატრიალდით, ეი ჯარისკაცებო ხიშტები! (ჩოჩქოლი).

**განწ**. ტყვილათ სცდილობთ, არ მოგცემთ საშუალებას თქვენმა ჯალათმა თავის ძალა ჩემზე გამოსცადოს.

**ციხ. უფ**. სწრაფად, ყოჩაღად, წაართვით დანა. (ჩოჩქოლი).

**განწ**. არ მომცილდებით?! მაშ მე თვით მოგცილდებით. (დანას დაიკრავს გულზე)

**საერთო ძახილი**: „მოასწრო, დანა დაიკრა“...

**ციხ. უფ**. (მიდის მასთან) უკვე გვიანღაა ყველაფერი... ყველას დაგახრჩობთ, დაგითხოვთ სამსახურიდან, კარცერში ჩაგალპობთ, რას აკეთებთ?! საკანში დანა საიდან გაჩნდა?! (ერთ მათგანს) მორიგე მეკარე ჩასვით კარცერში წყალის მეტი არაფერი მისცეთ (მეორეს). გასწი, ახლავე ექიმს დაუძახე. (ჩააშტერდება მომაკვდავს, საერთო დუმილი).

(ისმის ტუსაღების სიმღერა მეორე სავანიდან: „შენ მსხვერპლი გახდი“)

**განწ**. აწი მაინც არ მომცილდებით?!... თქვე ნაძირალებო... სისხლის მსმელებო... მოისვენეთ:.. დასტკბით... მაგრამ თქვენი კანონი... კანონი... გაგიცრუვდათ... (კვდება).

**ციხ. უფ**. მოკვდა?! (მღვდელს) აღსარების დროს არაფერი უთქვამს საიმისო?:

**მღვ**. ბევრი ვეცადე, არაფერი სთქვა.

**ციხ. უფ**. (ყვირილით) ოჰ, ეგ ძაღლი, ეგა!.. არავის გაპატიებთ უმოქმედობას, ყველას პასუხისგებაში მიგცემთ, შეგასწავლით თქვენ როგორ უნდა კანონის დაცვა.

(საერთო დუმილი: ნელა მიდიან, ისმის იგივე სიმღერა. ფარდა ნელა ეშვება).

**სერ. გერსამია.**

## დაბა-ხაშურის სცენისმოყვარე-მოღვაწენი



**ბაგრატ ჟუჟუნაძე**

ქ. ხაშურის მასწავლებელი და სცენის-მოყვარე, ოცდახუთწელზე მეტია, სამოს-წავლებლო და სასცენო ასპარეზე მუშაობს. 1924 წ. გადუხადეს 25 წ. მოღვაწეობის იუბილე.

# კიკნა ფელეტონი

## „ჩვენებური იუბილე“-ს ავტორის საპასუხოდ

(იხ. „თეატ. და ცხ.“ № 6).

ხარატი ხარ შენ უბრალო,
მე მეფეთ მეჩვენებოდი,
ხან კინტოდ და ხან სოვდაგრად—
„მატყუებდი—გაქყუებდი.“

თქვენს შეკითხვას მე ეზოპი
უპასუხებ, ძმაო კიკო,—
სხვა ნუგეში არ გეწყობა,
მაშ მითხარი, მე რა გიყო!

სამსა იგავს მოგახსენებ, იქნებ არ გაქვს გაგონილი, გულის ყურით მოისმინე, ეგებ დამრჩე კმაყოფილი.

### იგავი პირველი,

**როგორ ასწავლა მოლამ ვირს ანბანი.** ერთმა მოლამ, გაიძვერამ, საქმე რამ ჰქნა გასაკვირი, წერა-კითხვის შესასწავლათ აიყვანა ერთი ვირი. გაურიგდა ვირის ბატონს (ვირზე მეტად ჭკუის პატრონს): მე ამ შენს ვირს, არ გასაკვირს, ოცდაათ წელს (მცირეს არ გრძელს) წერაკითხვას შევასწავლი... და აიღო გასამჯელო ვერცხლი, ოქრო მან ბაჯაღლო...

ცოლმა ჰკადრა: მოლავ, რა ჰქენ, რა მიქარე, რა მოროშე, ვირის სწავლა, აბა მითხარ, ვის სმენია, ვის მოსწრია? ვერ ასწავლი, დაისჯები, სულელი ხარ, გეუბნები!

მოლამ უთხრა: ნათქვამია, დედაკაცის ჭკუა თხამ მააჭამა თურმე ბარდზე. შენც იმისი მოდგომისა ხარ, მისთვის არ ხარ სრულს ჭკუაზე. ოცდათიწელი, მითხარ, აბა მცირე მანძილია!? ამ ხანსა და ამ ვადაში ორში ერთი ხომ მოხდება: ან ვირი და პატრონი ფეხს გაჭიმავს-გაფშიკდება. მე დამრჩება ოქროები და ბრწყინვალე გამარჯვება!

ტაში, ტუში, დაპირება, თბილ „ვანაში“ შეცურება, რა კარგია, გიამება, მაგრამ... დაგიგვიანდება.. დააჩქარე, შეეცადე, ხაიქოს გამგზავრება, მაშინ კიდევ ძეგლს დაგიდგამთ... ყინულივით რომ დადნება!

### იგავი მეორე.

**ანდერძი ენუქასი.** იყო კაცი ერთი ვინმე: ძუნწი რამე პურა-ძვირი. როს კვდებოდა, **მოინდომა** მაშინ გამხდარიყო გმირი.., და ენუქამ, ჩვენმა გმირმა, იხმო თავისთან შვილები და ანდერძათ დაუბარა: ეჰ, შვილებო, ვკვდები მარა, არ იტიროთ, არა, არა! აწ სიცოცხლეს ვეთხოვები, რაც ვიცოცხლე ისიც კმარა. შემისრულეთ მე ანდერძი, რაც კი გითხრათ გამიგონეთ: ასიათასი თუმანი ქვრივ-ობლებსა დაურიგეთ, ორი ათასი თუმანიც მონასტერსა შეეწიეთ... სკოლაც უფასო ააგეთ, ღარიბებსა გამოზრდიდეთ, სამოწყალოს უხვათ სცემდეთ, არვინ დარჩეს უმადური, ყველა იყოს კმაყოფილი, ჩემი არ თქვან საყვედური...

— კარგი მამი, ძლიერ კარგი! შეგისრულოთ ნაბრძანები, მაგრამ გვიბრძანე, მამილო, აბა სადა გაქვს ფულები!?.

— რაო, რა თქვით, რა მიჭქარეთ, აბა რას ჰქვია ფულები, მე ხომ ანდერძი დავტოვე, თქვენთვის მონახეთ ფულები...

### იგავი მესამე.

**მგლის კეთილშობილება.** სულ ძველ დროში, უხსოვარში, როს არ იყო მონკავშირი [1]), იყო მგელი, საძაგელი, სისხლის მსმელი, ძვალსა და რბილს არ არჩევდა და ორივეს ერთად სჭამდა... მაგრამ ერთხელ... აბა ვინ სთქვა კოკა წყალზე არ გატყდება და ავსა კაცს ავი საქმე სულ ყოველთვის რომ შერჩება... მგელსა ძვალი, მისი ბრალი, შიგ შვა ყელში გაეხირა... იგრძნო მგელმა აღსასრული, სულთქმას მეტათ მოუხშირა... დაინახა იქვე წერო, დაუჩოქა, შეევედრა:

— გაისარჯე ნათლიდედავ, დაიგრძელე კისერიო, ყელში ძვალი ამომართვი, ხომ ხედავ რომ ვიხრჩვებიო. სიტყვას გაძლევ სამსახური ერთი ასათ დაგიფასო. მოგცე დიდი გასამრჯელო და არ დამრჩე უმადური.

და გაბრიყვდა ჩვენი წერო, ავანსი არ გამოართვა უბეოთ და უსიფთაოდ ყელით ძვალი ამოართვა...

წერომ უთხრა: ნათლიმამი, დროა მომცე გასამჯელო!

— რაო, რაო! შე თავხედო, ბედავ მთხოვო გასამჯელო?! არ გეყოფა, შენი ყელი, ბრიყვი ხარ და საძაგელი, ყბაში მქონდა, ვინ მიშლიდა შემოკლება მომეხდინა... სხვა რაღა გსურს? გასწი, წადი, თვალით აღარ დამენახო, თორემ ვფიცავ, შეგანანო, გატირო და გავაგლახო...

დავასრულე მეც იგავი... **ეზოპი.**

[1]) მონკავშირი—მონადირეთა კავშირი.



**ეპ. კურულაშვილი**

ტყავ-ტრესტის ლენინის სახელობის და ალმასკომის კეთილმომწყობ. განყოფილების მუშათა კლუბების ხელმძღვანელი. სახალხო სცენას ემსახურება 1910 წ. როგორც რეჟისორი და სცენისმოყვარე, ხელობით ტეხნიკოსი.

# სათეატრო მიმოხილვა



**წითელი თეატრი**
„ჯანყი გურიაში“ დადგმა ა. წუწუნავასი
**ლევან მაჭუტაძე—ნიკო მახარაშვილი.**

**ს. ველისციხე** (სიღნაღის მაზრა) ქალაქს მოგვაგონებთ. ცხოვრების უმთავრესი ღერძი მევენახეობაა... ადგილობრივი სად. მუკუზანიდან აუარებელ ღვინოს ეზიდებიან... ველისციხე შიგნით კახეთის შუაგულია და ერთნაირ მანძილზე სძევს სიღნაღიდან და თელავიდან. იგი დღეს შესანიშნავ სავაჭრო ცენტრად ითვლება: გათქმულია მისი ბაზრობა კვირაობით, რომელზეც აუარებელი ხალხი მოდის შორეული ადგილებიდანაც კი... მცხოვრები 1500 კომლი იქნება, მათ შორის $^{2}/_{3}$ სომეხია, დანარჩენი კი ქართველები და ურიები (რამოდენიმე კომლია). კულტურულ დაწესებულებათა შორის აღსანიშნავია ცხრაწლედი შრომის სკოლა—600 მოწაფით, სომხური ოთხწლედი—200 მოწაფით და [illegible]ასახსნელად გამზადებული საბავშო ბაღი ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობისა...

თეატრი შუაგულს ადგილზეა. ფართო შენობაა, მაგრამ ზამთრობით ცივია... თეატრის კომისარი ს. ქალანთაროვი ენერგიული პიროვნებაა და სცდილობს თეატრის საქმე წალმა წავიდეს... წელს თეატრს შეეძინა რამდენიმე ახალი ძალა: რეჟისორად მასწ. ლ. ჭავჭანიძე, სცენის მოყვარეებათ: თამარა ფერაძე, ბ. ქადაგიშვილი და სხ. წარმოდგენები მწყობრად მიმდინარეობს, სხვადასხვაობა რეპერტუარისა მაყურებლებს თეატრში იზიდავს. არა ნაკლებ იზიდავს თეატრში სახალხო „გასამართლებანი.“ რომლებშიც ადგილობრივი ძალები მონაწილეობენ: ილია ფერაძე (ცხრაწლედის გამგე), ლ. ჭავჭანიძე, ი. ზარუღავა (მასწ.), რაჟდენ შავლაშვილი, ი. ბეჟოშვილი, ი. ჩეკურიშვილი და სხ. გასამართლებას დიდი გამაცოცხლებელი გავლენა აქვს ხალხზე...

იმართება ლექციებიც. შედგენილია ადგილობრივ მასწავლებელთაგან ლექტორთა წრე ილ. ფერაძის მეთაურობით... ლექციების კითხვა დაიწყო. ჯერ ხანად წაკითხულ იქმნა: **„ლენინი და ლენინიზმი“** და **„საბჭოთა ხელისუფლების განათლების ამოცანები“**—ილ. ფერაძის მიერ. დიდი ამაგი მიუძღვის წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ცხრაწლედის გამგის მოადგილეს ნ. ხატისკაცს, რომლის მეოხებით დაარსდა 5 სკოლა მოზრდილთათვის. ადგილობრივი გლეხთა კომიტეტი იოს. ჩეკურიშვილის მეთაურობით და აღმასრულებელი კომიტეტი შეძლებისდაგვარად კულტურულ საქმეს დახმარებას აღმოუჩენენ...

ადგილობრივ ცხრაწლედთან შესდგა სკოლის დამხმარე კომიტეტი მშობელთაგან... ამ კომიტეტს მიზნად აქვს აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება სასწავლებელს, რომელსაც ბევრი რამ სჭირდება... კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჩეკურიშვილი ისეთი ენერგიული პიროვნებაა, რომ სასწავლებლისთვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია

**ჩაქუჩი.**

**ქუთაისის თეატრი** შიგნით შნოიანი და მოხდენილია, მაგრამ მეტად ცივი ღუმელების უქონლობის გამო. ახურებენ რკინის ღუმელებით. ხალხი ზედასართულში ზის. მსახიობები კი იძულებულნი არიან ცივ სცენაზე ითამაშონ, ხშირად პიესის მიხედვით საზაფხულო ტანისამოსშიც, ბევრი მათგანი ცივდება და ავად ხდება. ეს სენი ჰქონია შენობას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელიცაა, სავალდებულოც.

როგორც სცენაზე, ისე დარბაზში წესიერებაა; დასაწყისი სრულ 8 საათზე. როლების ცოდნა, დისციპლინა დასში და სულგანაბული დარბაზი, რომელიც მთელის ყურადღებით მისჩერებია სცენას და თამაშს გულმოდგინეთ ყურს უგდებს. ეტყობა, ქუთათურებს უყვართ თავისი თეატრი და აქ მოდიან შეგნებულ, გონივრულ გასართობისთვის. დასის გამგეს (ზარდალიშვილი) აღლო აუღია ხალხის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებისათვის და ანგარიშს უწევს შესაფერი დადგმით და რეპერტუარით. აქ შეგნებული ჰქონიათ ის უბრალო და უდავო ჭეშმარიტება, რომ თეატრი არსებობს თეატრისათვის კი არა, ხალხისათვის. რომ თეატრმა არ შეიძლება უსწროს თავის დროს და ნაძალადევად გადაახტეს თავის მშობლიურ დრამატურგიას. აქ იდგმება უმთავრესად ახალი ქართული პიესები. წრეულს დაუდგამთ 10 ახალი პიესა იმ დროს, როდესაც ჩვენს დედაქალაქში მხოლოდ ერთი ახალი პიესა ვიხილეთ. „ავია, თუ კარგიაო, ქალო შენი ქმარიაო“, ამბობს ქართული ანდაზა. ესევე ითქმის მწერლობაზეც. დრამატურგია მუდამ მისდევს თავის დროს, მასში, როგორც სარკეში, სჩანს თანამედროვე ცხოვრება თავის ნიაზით (ინტერესი), სულისკვეთებით და მისწრაფებით. ამიტომ სამშობლო დრამატურგიის გვერდის ახვევა დაუშვებელია. აი ამ აზრით ხელმძღვანელობენ, ალბად, ქუთაისში, რომ სამშობლო დრამატურგიისათვის მიუნიჭებიათ საპატიო ადგილი.

საერთოდ თამაშმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ჩვენ ვხედავდით მშვენივრად გაწვრთნილ მსახიობთ, რომლებიც ერთი მეორეს კი არ ეჯიბრებოდნენ თამაშში, არამედ ჰქმნიდნენ საერთო, მთლიან, შეთანხმებულ შთაბეჭდილებას.

უსურვებთ ქუთაისის სახელმწიფო თეატრს კვლავაც ამ ბუნებრივ გზით სიარულს. სასურველია, რომ ეს თე-

ატრი ეწვიოს ჩვენს დედაქალაქს და გვაჩვენოს თავის ახალი დადგმანი მშობლიურ ნიადაგზე.

ტფილისს ჰშიან ქართული პიესები, გვაჩვენეთ, ქუთათურებო!.. **ი. ლ.**

**სიღნაღში** დიდი ხანია ადგილობრივი ხელისუფლება ფიქრობს დაარსოს მუდმივი დასი, აგოს საგანგებო შენობა თეატრისათვის, მაგრამ საჭირო თანხის უქონლობის გამო ეს ვერ მოუხერხებია. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამპროფბიურომ და სრულიად ახლათ შეაკეთა მუშათა კლუბი და მოაწყო სცენა.

პოლიტგანმანმა სამპროფბიუროსთან შეთანხმებით დაარსდა მუდმივი ქართული დასი და იანვრის 24 სეზონი დაიწყო („ქრისტინე").

ერთი თვის განმავლობაში უკვე ოთხი წარმოდგენა გაიმართა.

დასში ძველ, დამსახურებულ სცენის მუშაკებთან ერთად შევიდნენ ახალგაზრდებიც; დასის შემადგენლობა: ქ-ნი ტყავაძისა მარ., ბოსტაშვილი თამ., ანდრონიკაშვილისა ძაკა, ვარვარიძისა, ტყეშელაძე, ალადაშვილი; ბ-ნი: მოსაშვილი ილო, ტერ-ასტვაწატუროვი ქრ., შავლიაშვილი ს., მენთეშაშვილი გ., წულაძე ექვ., ბალაშვილი ალ., ბილანიშვილი ბ., ყოჩიაშვილი, ბეგიაშვილი სოსო, ლეიაშვილი. რეჟისორი ილო მოსაშვილი, მოკარნახე გიორგი ვარვარიძე.

დაიდგა „ქრისტინე", „უბედური ნაბიჯი", „ბურუსი", „რაც გინახავს ვეღარ ნახავ".

„ქრისტინე"-ს დადგმა მოიკოჭლებდა; „უბედური ნაბიჯი" ხელოვნურად იყო დადგმული: შემსრულებელნი ტყავაძისა, ბოსტაშვილი, მოსაშვილი, შავლიაშვილი თავის როლებში იყვნენ და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვეს მაყურებლებზე.

„ბურუს"-ში უმრავლესობა ახალგაზრდობა მონაწილეობდა. აღსანიშნავი არიან ტყავაძისა (თეკლე) და მოსაშვილი (დათიკო), რომელთაც მოგვცეს ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი განსახიერება ტიპებისა.

„რაც გინახავ ვეღარ ნახავ"-მა (თებერ. 14) ისე მწყობრათ, ისე მშვენიერათ ჩაიარა და ყველა შემსრულებელნი იმდენად იყვნენ თავისი როლებში, რომ მეძნელება რომელიმე მათგანის გამოყოფა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტერ-ასტვაწატუროვი, რომელიც ორ როლს ასრულებდა (ავეტიქა და არტემ) და სიკო შავლიაშვილი (გიჟუა), რომელთაც დიდის ხელოვნებით აღასრულეს ნაკისრი როლები.

საზოგადოთ თეატრის საქმე სიღნაღში უკვე მტკიცე ნიადაგზეა. შესაფერი დასი, საჭირო დარბაზი, სამპროფბიუროს მხრივ ნივთიერი დახმარება იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს დიდი საქმე კარგად იწარმოებს. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება ცენტრის მხრივ როგორც საჭირო რეპერტუარის მოწოდებით, ისე ნივთიერი მხრივაც, თორემ ლაპარაკი პროვინციის თეატრის აყვავებისა და ხელოვნების მასასთან დაახლოვების შესახებ „ლაპარაკათ" დარჩება.

**სიმონ ჯიხაიშელი.**

**გორის მუშათა კლუბის** შენობაში ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მიერ, დ. აბდუშელის რეჟისორობით 15 თებერვალს წარმოდგენილი იქნა „გეგეჭკორი". საუცხოვოთ შესრულა გეგეჭკორის როლი დ. აბდუშელმა. კარგები იყვნენ: გ. ყანჩელი—დადიანის როლში, მახნიაშვილი—ხეცია, კორინთელი—შაქდია, გრიქუროვი—ჩიქოვანი. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბევრი დაესწრო. **კ ბიჭიკო.**

**ქ. დუშეთის თეატრი** თანდისთან ღებულობს სათანადო სიმაღლეს. წარმოდგენები იმართება ყოველ კვირაობით, ხან ორ—სამჯერაც-კი. დრამატ. წრე ხშირად, მიუხედავად დიდი სიცივეებისა და ყოველმხრივი გაჭირვება-დაბრკოლებისა, სხვადასხვა სოფელში დაიარება და ნაირ პიესებს სდგავს.

1925 წ. 22 თებერვალს წარმოდგენილი იქნა „ქრისტინე". დაესწრო არაჩვეულებრივად მრავალი მაყურებელი, რომელიც კმაყოფილი და აღტაცებული დარჩა. სცენისმოყვარენი გულიანად თამაშობდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. მაღაროს-კარელის (მ. აბრამიშვილის) თამაში ქრისტინეს როლში.

ეს ქალი 1922 წლიდან ემსახურება ჩვენს ღატაკ სცენას და ყოველ პიესაში ნამდვილი სცენიური ხელოვნების ბრწყინვალე სხივი შეაქვს. **ჭანგი.**

**რკ. გზის მუშაკში** კარგა ხანია დაარსდა სპეციალური კურსი. აქ სწავლობენ ძველი მებრძოლი კომუნარები. დღეს, ს.ბჭოთა ხელისუფლების დროს, მათ მიეცათ საშუალება თავისი პრაქტიკული და რევოლიუციონური ცოდნა შეავსონ მეცნიერების შესწავლით.

კვირას, მარტის 8-ს, ამ კურსის მსმენელთა მიერ, მოწყობილ იქნა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე"-**დან ვარდუას** ლიტერატურული გასამართლება.

ბრალმდებელთა და დამცველთა მხარენი საუცხოვოთ მომზადებულნი ეკვეთენ ერთმანეთს ვითომც ყოფნა არ ყოფნის გადამწყვეტი ბრძოლაათ.

ბრალმდებელთა რიგი მოითხოვდა: ვარდუას უმაღლესი სასჯელი მიესაჯოსო, ხოლო დამცველთა რიგი ლამაზად არღვევდა პირველებისგან წამოყენებულ ბრალდებებს და მოითხოვდა: მის სრულიად გამართლებას.

სასამართლომ დიდი მსჯელობის შემდეგ გამოიტანა განაჩენი: გაკიცხულ იქნეს ვარდუას საქციელი (როგორც მავნე აღმზრდელობითი მნიშვნელობის) და მიესაჯოს მას თემიდან გაძევება".

ეს პირველი ნაბიჯია ლიტერატურულ დარგში მუშაობისა. უსურვოთ ჩვენს მებრძოლ არწივებს დაუღალავი შრომის უნაიო გამოიჩინოთ. **ლეო გრძნეული.**

**მწიგნობრობა.**

**მუშა-მსახიობი გიორგი ჯაბაური** შეუდგა თავის მიერ დაწერილი „სახალხო თეატრის ისტორიის" დამუშავებას, რომელიც იბეჭდებოდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ში 1914, 1915, 1916 და 1917 წელს. ხსენებული ისტორია დაიბეჭდება ცალკე წიგნათ მის მოღვაწეთა სურათებით. დაინტერესებულ პირთ მასალები წარმოადგინონ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქციაში ან წითელ თეატრში.

**მსახიობ ქალმა მ. ქილარჯიშვილმა** სთარგმნა რინდა-ალექსეევის პიესა „რკინის კედელი", 4 მოქ.

მთავლიტ. № 385 ხელმძღვანელი: **კოლეგია.** რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.** ტირ. 1500

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.